V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

“საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში”

კონფერენცია ეძღვნება

საქართველოს ეკონომისტის დღეს

მოხსენებათა აბსტრაქტები

თბილისი

2023

V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი:
2023 წლის 8 სექტემბერი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ)

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - თავმჯდომარე;
პროფესორი ვახტანგ ჭარაია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით) - თანათავმჯდომარე;
აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) -- თანათავმჯდომარე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია).
რამაზ აბესაძე (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);
იური ანანიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გივი ბედიანაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი) - პასუხისმგებელი მდივანი;
თეიმურაზ ბერიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თამარ გამსახურდია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
სიმონ გელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
რევაზ გველესიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნუგზარ თოდუა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მიხეილ თოქმაზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი);
მერაბ კაკულია (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი);
მურმან კვარაცხელია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
პაატა კოღუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);
ელგუჯა მექვაბიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ავთანდილ სულაბერიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მირიან ტუხაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

თეიმურაზ შენგელია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ვლადიმერ ღლონტი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ეთერ ხარაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).
ნიკოლოზ ჩიხლაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეკონომიკის დოქტორები, პროფესორები:

ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თეა ლაზარაშვილი (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);
მანანა ლობჟანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დავით ნარმანია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თენგიზ თაქთაქიშვილი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
ლევან საბაური (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დემურ სიჭინავა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღაღანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნინო ფარესაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მაია მელაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი);
თეა ხორგუაშვილი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნათელა წიკლაშვილი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღავთაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ემზარ ჯგერენაია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საორგანიზაციო ჯგუფი

ლანა ებრალიძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი); **უჩა გოგრიჭიანი** (თსუ); **თემურ გოგოხია** (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი) ეკონომიკის ინსტიტუტი).

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ISBN 978-9941-8-5806-2

სარჩევი

ვლადიმერ პაპავა - ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო! 6
პლენარული სექცია..... 7
ვლადიმერ პაპავა - საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში 8
გიორგი ღაღანიძე - საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარების გამოწვევები კონფრონტაციულ გლობალურ გარემოში 9
ელგუჯა მექვაბიშვილი - გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი ...11
მარიამ ლაშხი, დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია - ჩრდილოვანი საბანკო სექტორი საქართველოში 12
ეთერ ხარაიშვილი - კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები..... 13
არჩილ ფრანგიშვილი, თამაზ ობგაძე, გიორგი ღავთაძე, მაია შევარდენიძე - ციკლები და ფრაქტალები საქართველოს მაკრო-ეკონომიკურ სისტემაში 14
სექცია I 15
რევაზ ველესიანი, ირინე გოგორიშვილი - მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში 16
შოთა ვეშაპიძე - გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის 17
მურმან კვარაცხელია - გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება 18
ნიკოლოზ ჩიხლაძე, გოჩა უგულავა - საქართველოს ექსპორტის გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში..... 19
სლავა ფეტელავა - ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში 20
ნინო მიქიაშვილი - სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა 21
იოსებ არჩვაძე, ლია ქურხული - სოციალური ქსელის შუქ-ჩრდილები: პოლიტ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები 22
გიორგი შიხაშვილი, კახაბერ რუსიძე - მართლმადიდებგლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ 23
გივი მაკალათია - სუბიექტური ღირებულების თეორია და მისი სოციალური ასპექტები 24
მედეა ხარაიშვილი - დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში 26
სექცია II 27
მირიან ტუხაშვილი, მზია შელია - დიასპორები საქართველოში: რიცხოვნობა და სტრუქტურა.....28
გივი ბედიანაშვილი - კონფრონტაციული გლობალიზაცია და მცირე ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა 29
დემურ გიორხელიძე - მაკროეკონომიკური ფაქტები. საქართველო 30
ნაზირა კაკულია - ცირკულარული ეკონომკის მოდელები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე 31
მალხაზ ჩიქობავა - CBDC - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა: უპირატესობები და ნაკლოვანებები 32
ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე - მდგრადი ურბანიზაცია და ზიფის კანონი საქართველოს ქალაქებისთვის 33

მურმან ცარციძე, შოთა გაბადაძე - გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში..... 34
აკაკი არსენაშვილი - ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის 35
მანანა ლობჟანიძე - კონფრონტაციული გარემოს გავლენა ახალგაზრდების დასაქმებაზე.....36
თეა ლაზარაშვილი - ინოვაციური უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში 37
ირმა ტყემალაძე - მეცნიერება და ინოვაციები, როგორც განახლებადი ენერგიის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი 38
გიორგი ცუცქირიძე - საქართველოს კომერციული ბანკების მოგების გადასახადის შეფასების ინდიკატორები და საბანკო სექტორის მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლის ალტერნატივა (საგადასახადო რისკების შეფასების მნიშვნელობა გლობალურ პანდემიური შოკის შემდეგ) 40
მარინა ტაბატაძე, ანნა თანდილაშვილი - ბიუჯეტის ადმინისტრირების მექანიზმები გლობალური ეკონომიკის პირობებში 42
ლანა ებრალიძე, მიხეილ დუნდუა - მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები 43
ნინო კულატამიშვილი - დასაქმებას და ხელფასებს შორის სექტორების-რეგიონების მიხედვით უთანასწორობის ეკონომეტრიკული ანალიზი - საქართველოს მაგალითზე 44
სექცია III 45
სიმონ გელაშვილი, მარიამ დანელია - პროფესიული განათლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური ტენდენციები თანამედროვე საქართველოში..... 46
ნუგზარ თოდუა, გიორგი რობაქიძე - პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება 47
ბადრი გეჩბაია, ამირან წილოსანი - საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები და კონკურენტული სტრატეგიები კონფრონტაციულ გარემოში..... 48
თენგიზ თაქთაქიშვილი, ნათია დაღელიშვილი, მაია გოგიაშვილი - ნეირომარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე..... 49
მაკა კობალავა - ანტიკრიზისული პიარის რელევანტურობა კონფრონტაციულ გარემოში 50
თამარ ლაზარიაშვილი - რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა აგროსასურსათო პროდუქტების ქსპორტ-იმპორტზე 51
ნათია დაღელიშვილი, თენგიზ თაქთაქიშვილი - ინფლუენსერ მარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე 52
თენგიზ თაქთაქიშვილი, ნინო საჩალელი - მდგრადი მარკეტინგი, როგორც მყიდველის მოტივაციის ფაქტორი 53
ნინო საჩალელი, თენგიზ თაქთაქიშვილი - მწვანე მარკეტინგის როლი მდგრადი პროდუქტების გაყიდვაში 54
ნინო აბესაძე, **თამუნა მაზანიშვილი**- გლობალიზაცია და კრიმინოგენური მდგომარეობის თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში 55
სექცია IV 56
თენგიზ თაქთაქიშვილი, ვახტანგ ჭარაია, ნუნო მოუტინიო, ჟორჟე ალვეში - სამეწარმეო სტიმულები უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის საქართველოსა და პორტუგალიაში 57
თამარ გამსახურდია - ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები და ტურიზმის განვითარება ..59
ნიკო კვარაცხელია - საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე პოსტპანდემიურ პერიოდში 60

მაკა ფირანაშვილი, ლამარა ქადაგიძე, ერეკლე უგრელიძე - მცირე (საოჯახო) მარნების როლი ღვინის ტურიზმში და მათი განვითარების მარკეტინგული სტრატეგია 62
გიგი ყუფარაძე - ეკონომიკური გარემოს გავლენა საქართველოში ჯანმრთელობის ტურიზმის განვითარებაზე 64
ნინო ცხოვრებაშვილი, თენგიზ თაქთაქიშვილი - ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებაში (ციფრული ტრანსფორმაცია) ქართული და ფრანგული ორგანიზაციების შედარების მაგალითზე 65
მაია მელაძე, ანა გვარამაძე, ლიზი ძიმისტარიშვილი - ქართველი მოგზაურების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას 66
ნინო საჩალელი - მდგრადობა, როგორც კონკურენტული უპირატესობა სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის 67

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

2023 წლის 8 სექტემბერს ქართველი ეკონომისტები „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ. გავიხსენოთ ამ დღის შემოღების მოკლე ისტორია: 1918 წელს, 105 წლის წინ, სექტემბრის მეორე პარასკევს, პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალი – „საქართველოს ეკონომისტი“ გამოვიდა, ხოლო 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილებით კი, ყოველწლიურად, სექტემბრის მეორე პარასკევს, „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ.

2018 წლიდან დაწყებული ქართველი ეკონომისტები ეკონომისტის დღეს ერთდღიან ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ, სადაც ერთმანეთს ვუზიარებთ კვლევის შედეგებს და კვლევის უახლოეს ამოცანებს განვიხილავთ.

საქართველოს ეკონომისტთა ეროვნული კონფერენციებს მონაცვლეობთ ვატარებთ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. I ეროვნული კონფერენცია 2018 წელს ჩატარდა თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში, II ეროვნული კონფერენცია – 2019 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, III ეროვნული კონფერენცია – 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, IV ეროვნული კონფერენცია – 2022 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. COVID-19-ის პანდემიის გამო, სამწუხაროდ, ეროვნული კონფერენციის ჩატარება 2021 წელს ვერ მოხერხდა.

დღეს საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. კონფერენციის თემაა „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“. თემის აქტუალურობას განაპირობებს ის სამწუხარო რეალობა, რომელშიც მსოფლიო 2022 წლის 24 თებერვლიდან იმყოფება, როცა რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, ხოლო ამის საპირწონედ დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციულობა გამოიწვია. ამ ვითარებაში ყველა ქვეყნის წინაშე დგება ამოცანა, განსაზღვროს გლობალურ ეკონომიკაში მისთვის ყველაზე უფრო მისაღები ადგილი.

გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციულობა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც ეკონომიკურ მეცნიერებას, ისე საქართველოს ეკონომიკური განვითარებას. ამ პრობლემების კვლევა კი ქართველი ეკონომისტებისთვის უშუალო ინტერესების სფეროს განეკუთვნება.

საქართველოს ეკონომისტთა პროფესიულ დღეს ვულოცავ ყველა ჩვენს თანამემამულე ეკონომისტს, მეცნიერს და საჯარო მოხელეს, ეკონომიკური პროფილის სამივე საფეხურის სტუდენტებს და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავისი ახალი მეცნიერული შედეგებით ჩვენი სამშობლოს, მისი განვითარების სამსახურში წარმატებით ჩადგებიან!

პატივისცემით,

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

პლენარული სექცია

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში

ვლადიმერ პაპავა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
vladimer.papava@tsu.ge

სტატიაში განხილულია ფსევდოდეგლობალიზაციის პროცესი, რასაც საფუძველი COVID-19-ის პანდემიამ ჩაუყარა. განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ დეგლობალიზაცია პრინციპულადაა შეუძლებელი. ნაჩვენებია, თუ როგორ ჩაანაცვლა COVID-19-ის პანდემიის დროს ჰიპერგლობალიზაცია ტურბულენტურმა გლობალიზაციამ. ეს უკანასკნელი კი კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომისა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების შედეგად. პანდემიამ და ომმა წინა პლანზე წამოწია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რის საფუძველზეც სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ მომავალში ჩამოყალიბდება გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის არის „შუა დერეფნის“ პროექტი, რომელიც იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი ეკნომიკურ დერეფნად იქნას ტრანსფორმირებული.

საკვანძო სიტყვები: ფსევდოდეგლობალიზაცია, ჰიპერგლობალიზაცია, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია, ეკნომიკური დერეფანი

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარების გამოწვევები კონფრონტაციულ გლობალურ გარემოში

გიორგი ღაღანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.gaganidze@tsu.ge

კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საკითხები ყოველთვის იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მენეჯმენტის მკვლევარებისათვის. გლობალიზაციის პროცესმა ახლებურად წარმოაჩინა ორგანიზაციების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. საინტერესო მიგნებას წარმოადგენდა ე.წ. უპსალას მოდელი. ამ მოდელის მიხედვით ორგანიზაციები იწყებენ აქტიურ მოქმედებას შიდა ბაზრებზე, იღებენ გამოცდილებას, აღწევენ გარკვეულ ეკონომიას მასშტაბებზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ აქტიურად საექსპორტო ოპერაციებს. ამ მოდელის ავტორები ითვალისწინებდნენ არსებულ რეალობას, სხვადასხვა ორგანიზაციების გამოცდილებას და ამის საფუძველზე აყალიბდნენ ამ მიდგომებს. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ძლიერი იყო შიდა ბაზრის დაცვის თეორიები, ცხადია ამ თეორიების მიხედვით დაცული შიდა ბაზარი წარმოადგენდა იმ მოედანს, რომელზეც ორგანიზაციები იძენდნენ გამოცდილებას და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენდნენ საგარეო ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციას. ამ მოდელს ძალიან ხშირად იყენებდნენ პოლიტიკური მიზნებისათვის, რადგანაც ის წარმოადგენდა კარგ დასაბუთებას შიდა ბაზრის "დაცულობის" იდეების რეალიზაციისათვის. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპმა შეცვალა ამ მიდგომების რეალისტურობა და წარმოიშვა რამოდენიმე პრაქტიკული პრობლემა, კერძოდ მოხდა ლიბერალიზაციის იდეების ფართო გავრცელება, შიდა ბაზრების შეზღუდულობამ გამორიცხა მხოლოდ შიდა ბაზრისათვის კონკურენტული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები. ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო აქტიურად განიხილება კანონმდებლობის, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროს საკითხი. საინტერესოა მოსაზრებები კანონმდებლობის ორგანიზაციის წარმატების ფაქტორად განხილვის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა უნდა განვიხილოთ, როგორც ბიზნესის რეაქტიული ფაქტორი, რომელიც ჩართულია სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რამდენად შესაძლებელია რე-ექსპორტის ზრდის ხარჯზე სასაქონლო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრა. აღნიშნული საკითხის რაოდენობრივი ანალიზისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვიყენოთ რეგულირების თეორიის ზოგადი ფორმულა. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა შემდეგია: საქართველოს როგორც ღია ეკონომიკა მოიხმარს დიდი მოცულობით იმპორტს, რომელიც ასევე გამოიყენება ექსპორტის განხორციელებისათვის. არსებული მთლიანი სამამულო პროდუქტი განიხილება როგორც რეგულირებადი სისტემა, იმპორტი შემავალი ცვლადია, ხოლო ექსპორტი გამომავალი. არსებული მთლიანი სამამულო პროდუქტის, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების საფუძველზე გამოითვლება რეგულირების მაჩვენებელი დღევანდელი მდგომარეობისათვის. რეგულატორის არსებული მაჩვენებლის გამოყენებით გამოვთვალით თუ მთლიანი სამამულო პროდუქტის რა მნიშვნელობისათვის მიაღწევს ექსპორტი იმპორტის ტოლობას. ამდენად მოგვეცემა შესაძლებლობა შევაფასოთ ექსპორტის ზრდის პერსპექტივა. ექსპორტის ზრდის

ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია ჩატარდეს დეტალური ანალიზი. როგორც ერთ-ერთი ანალიტიკური მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავტორის მიერ შემოთავაზებული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების ინტენსივობის ინდექსის განხილვა. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ვაჭრობის ინტენსიფიკაციის ინდექსის დაზუსტებას. ჩვენი კვლევის შედეგად თეორიული დაშვების დონეზე საქართველოსთვის დადასტურებულია შემდეგი ჰიპოთეზა: დაბალი დამატებული ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციით შეუძლებელი იქნება საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება. ამდენად აუცილებელია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მაღალი დამატებული ღირებულება.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტული უპირატესობა, გლობალიზაცია, რეგულირება, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების ინტენსივობის ინდექსი, ახალი საექსპორტო პროდუქტები

გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი

ელგუჯა მექვაბიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
elguja.mekvabishvili@tsu.ge

საწყისი პერიოდიდან ანუ 1980-1990-იანი წლებიდან, გლობალიზაციამ რამდენჯერმე იცვალა სახე, რასაც ჩვენ **გლობალიზაციის მეტამორფოზებს** ვუწოდებთ. ამ მოვლენის არსის გაგებისთვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გლობალიზაციის, როგორც ევოლუციური პროცესის **ბიფურკაციის წერტილების** დაფიქსირება, რომლებიც განსაზღვრავდა გლობალიზაციის ტრაექტორიას და იწვევდა გლობალიზაციის ერთი ფორმის სხვა ფორმით შეცვლას. ბიფურკაციის წერტილების გაჩენას სხვადასხვა ფაქტორის (პოლიტიკური,სოციალური,სამხედრო,სამედიცინო და ა.შ) მოქმედება იწვევდა, თუმცა მათ შორის მთავარი იყო ეკონომიკური ფაქტორი, რომლის ქვეშ ჩვენ პირველ რიგში ვგულისხმობთ სტრატეგიული რესურსების განაწილება-მითვისებაზე გლობალურ კონკურენციას მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის. უპირობო ლიდერი ამ კონკურენციაში დღემდე აშშ-ია, რაც უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და სამხედრო დომინირებას მსოფლიოში. გლობალიზაციის მეტამორფოზის პირველი ბიფურკაციული წერტილი უკავშირდება ადმინისტრაციულ მბრძანებლური სისტემის დანგრევას ყოფილი საბჭოთა კავშირში და საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, რამაც ბარიერები მოხსნა „თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის“ გავრცელებაზე თითქმის მთელ მსოფლიოში, ჩინეთის და აზიის რამდენიმე ქვეყნის გამოკლებით. გლობალიზაცია ამ პერიოდში მიმდინარეობდა აშშ-ის დომინაციით, მისი პრიორიტეტების შესაბამისად და ემყარებოდა ნეოლიბერალური ე.წ. „ვაშინგტონის კონსესუსის“ დოქტრინას. შესაბამისად, მას შეიძლება ეწოდოს **ანგლოსაქსური ნეოლიბერალური გლობალიზაცია ანუ „Pax- America”.** გლობალიზაციის ეს მოდელი სერიოზული წინააღმდეგობების შემცველი იყო, რამაც განაპირობა ეკონომიკის რყევების გაძლიერება და საბოლოო ანგარიშით, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობა, რომელიც ისტორიაში შევიდა „დიდი რეცესიის“ სახელწოდებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა **„ტურბულენტური გლობალიზაციის“** წარმოშობის საფუძველს, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა 2020-2022 წლების კორონომიკური კრიზისის პროცესმა. გლობალიზაციის მეტამორფოზის მორიგი, ბიფურკაციული წერტილი დაკავშირებულია რუსეთის უკრაინაში ომთან და ამასთანავე აშშ-სა და ჩინეთს შორის დაძაბულობის გაღრმავებასთან. ჩინეთი, რომელიც სიძლიერით მსოფლიოს მეორე სახელომწიფოა, აშკარად ცდილობს გახდეს „სამხრეთისა და აღმოსავლეთის“ ლიდერი და გადაუსწროს აშშ-ს. მაშასადამე, თანამედროვე პირობებში დაიწყო „კონფრონტაციული გლობალიზაცია“, რაც თავისთავად დიდი საფრთხის და რისკის შემცველია მთელი მსოფლიოსთვის.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის მეტამორფოზა, ბიფურკაციის წერტილები, ანგლო-საქსური ლიბერალური გლობალიზაცია, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია

ჩრდილოვანი საბანკო სექტორი საქართველოში

მარიამ ლაშხი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
m.lashkhi@gruni.edu.ge

დავით სიხარულიძე
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
d.sikharulidze@eeu.edu.ge

ვახტანგ ჭარაია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
v.charaia@gruni.edu.ge

ჩრდილოვანი საბანკო სისტემა მრავალი ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ფინანსური სისტემისთვის რისკების გადატანაში მათი როლიდან გამომდინარე, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტები საჭიროებენ გაზრდილ ყურადღებას, როგორც ეს ბოლო გლობალურმა კრიზისმა აჩვენა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ჩრდილოვანი საბანკო სექტორის ზომა და ტენდენცია საქართველოში ფინანსური სტაბილურობის კონტექსტში. ამ მიზნით ჩატარდა საქართველოს ფინანსური სექტორის ანალიზი ჩრდილოვანი ბანკების საქმიანობისა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შესასწავლად. კვლევა იყენებს FSB-ისა და ESRB-ის მეთოდოლოგიას საქართველოში ჩრდილოვანი ბანკის ზომისა და მასთან დაკავშირებული რისკის შესაფასებლად. ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, როგორიცაა ლიზინგი და ლომბარდები, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ნაწილია, რომელიც არ ექვემდებარება საბანკო რეგულაციას. მათი აქციები და საქმიანობა ამ დროისთვის საფრთხეს არ უქმნის ფინანსურ სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოვანი ბანკინგი, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი, სხვა ფინანსური ინტუიციები, ფინანსური სტაბილურობა

კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები

ეთერ ხარაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
eter.kharaishvili@tsu.ge

ნაშრომში კონფრონტაცია შეფასებულია როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ საქმიანობებსა და სხვ. კონფრონტაციის ნეგატიური გავლენის შემცირების გზების განსაზღვრა აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად არის მიჩნეული. სტატიაში განხილულია კონფრონტაციის სახეობები, გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები, დასაბუთებულია, რომ კონფრონტაციით გამოწვეული შოკები პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს წარმოებაზე. გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება შეფასებულია ფაზების (IPC/CH) დონეების მიხედვით, გაანალიზებულია სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა კრიზისის გამომწვევი მიზეზების მიხედვით. გამოვლენილია, რომ კონფლიქტით გამოწვეული კრიზისი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოიცავს. აგროსასურსათო წარმოებაზე რუსეთ-უკრაინას შორის ომის გავლენის შეფასების მიზნით შესწავლილია რუსეთსა და უკრაინაში რამდენიმე ძირითადი სასურსათო პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები და გაკეთებულია დასკვნები კონფლიქტის პერიოდში ფორმირებულ ტენდენციებზე. სტატიაში გაანალიზებულია უკრაინასა და რუსეთში ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, შეფასებულია მათი წილი გლობალურ სასურსათო წარმოებაში. ასევე, მოცემულია ამ ქვეყნებიდან ექსპორტის მოცულობა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე და განსაზღვრულია მათი წილი გლობალურ სასურსათო ექსპორტის მოცულობაში. ნაშრომში წარმოდგენილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან უკრაინასა და რუსეთში, ასევე, შესწავლილია აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი საქართვეელოში უკრაინიდან და რუსეთიდან. გაკეთებულია დასკვნა, რომ უკრაინასთან შემცირებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, რუსეთთან კი ეს მაჩვენებლები გაზრდილია. ნაშრომში მოცემულია დასკვნები აგროსასუსათო წარმოებაზე კონფრონტაციის უარყოფითი გავლენის შედეგებზე, შემუშავებულია რეკომენდაციები კონფლიქტებით გამოწვეული გაურკვევლობის დაძლევისა და მოლოდინების განსაზღვრის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაცია, აგროსასურსათო წარმოება, პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა, გაურკვევლობა, მოლოდინი

ციკლები და ფრაქტალები საქართველოს მაკრო-ეკონომიკურ სისტემაში

არჩილ ფრანგიშვილი
აკადემიკოსი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
a_prngi@gtu.ge

თამაზ ობგაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
t.obgadze@gtu.ge

გიორგი ღავთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
george.gavtadze@atsu.edu.ge

მაია შევარდენიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
m.shevardenidze@gtu.ge

ნაშრომში შესწავლილია ეკონომიკური ციკლების არსებული კონცეფციები და ევოლუციის ფაზები. ჩატარებულია არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, რის ბაზაზეც შემოთავაზებულია ციკლების შესწავლის ახალი კონცეფცია, რაც დამყარებულია შესაბამისი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივების ფრაქტალურ ანალიზთან და ჰერსტის მაჩვენებლების მნიშვნელობის მიხედვით, მათი პერსისტენტულობის დადგენასთან. შედგენილია მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივების ფრაქტალური ანალიზის ალგორითმი და შესაბამისი პროგრამა, კომპიუტერული პაკეტის Mathcad - ის ბაზაზე. შემუშავებული პროგრამის საშუალებით საქართველოს მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის გათვლილია ფრაქტალური სტრუქტურის მაჩვენებლები და ჩატარებულია შესაბამისი ციკლების სტრუქტურული ანალიზი, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივები, არის პერსისტენტული, მდგრადი ტრენდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ არ იქნება სოციალურ-პოლიტიკური რყევები და ვალების გაზრდა, საქართველოს ეკონომიკურ სისტემას აქვს შემდგომი ზრდის პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ციკლი, ფრაქტალური ანალიზი

სექცია I

მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში

რევაზ გველესიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
revaz.gvelesiani@tsu.ge

ირინე გოგორიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irine.gogorishvili@tsu.ge

ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადება დამოკიდებულია იმაზე თუ:

- რამდენად კარგად არის ემპირიულად უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობები და მისი შედეგები, ე.ი. რამდენად რაციონალურია მართვის შესახებ არსებული და მისაღები ცოდნა;
- რამდენად ექვემდებარება ანალიტიკურ ახსნას გადაწყვეტილების მიღების პრობლემა (გადაწყვეტილების ლოგიკიდან გამომდინარე).

მართვის პრაქტიკული ცოდნა, როგორც წესი, მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს რეკომენდირებული მოქმედებები ადრინდელ მოღვაწეობას ან მისგან თავის შეკავებას (ე.ი. რაც უფრო დაშორებულია ისინი თეორიულ-ეკონომიკურ გამოცდილებას). გადაწყვეტილების პრობლემის ანალიტიკური წვდომა გაძნელებულია კარგად გააზრებული მოქმედებების კომპლექსურობით. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების პრობლემის სტატუსისა და დიაპაზონის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაცნობიერებული ნაგულისხმევი მოქმედებები, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიზნად დასახული ცვლილებები და განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური წესრიგი, ძირითადი ღირებულებები, კრიტიკული და კონსტრუქციული რაციონალიზმი, საზოგადოების და ეკონომიკის გლობალური ცვლილება, შეფასების პრობლემა, გადაწყვეტილების მიღება

გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის

შოთა ვეშაპიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.veshapidze@tsu.ge

ნაშრომის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის ამჟამინდელი რეალობის თავისებურებების გაანალიზება, შექმნილი შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება და მისი დაძლევის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტს შეადგენს როგორც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, ასევე, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური საკითხები და უკრაინის კრიზისი. ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა ფუნდამენტური ლიტერატურის ანალიზს, სინთეზს, კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს, გლობალიზაციის ინდექსის შემადგენლებს. ნაშრომი აკეთებს დასკვნებს ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ტენდენციიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები გლობალიზაციის თანამედროვე ახალი რეალობით განპირობებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მისთვის ალღოს აღების შესახებ. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალ, თანამედროვე ტენდენციას, არა მარტო თვალსაჩინო დადებითი შედეგები მოაქვს, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული პრიორიტეტების დაცვის მწვავე პრობლემებს ქმნის. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკის გაზრდილი ღიაობა, ერთობლივი პროგრამების შემუშავება ჩვენი დროის მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაციის წყაროები, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენცია, გლობალისტები, ანტიგლობალისტები

გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება

მურმან კვარაცხელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
murmankvara77@gmail.com

გლობალიზაცია გახდა კაცობრიობის შეუქცევადი პროცესი. მისი თანმდევი უარყოფითი გავლენების შედეგად შეიძლება სუვერენული სახელმწიფოები გარკვეული პრობლემების წინაშე დადგნენ. ამ შემთხვევაში ისინი გარკვეული ნეგატიური გამოწვევების წინაშე დგებიან ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამის გამო სრულიად ახალი ფორმით იკვეთება სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომელსაც გლობალიზაცია სთავაზობს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოების მთავარ ამოცანად რჩება ისეთი სახის საფრთხეების აღმოფხვრა, როგორიცაა პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა. თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად იზრდება. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკების შესაძლებლობების ძალისხმევის გაერთიანება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო და სამამულო ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი პოტენციალის დაცვის კუთხით. ეს კი შექმნის მყარ პირობებს ინოვაციური ეკონომიკის შესაქმნელად, რაც სუვერენული სახელმწიფოების მომავლის გზამკვლევადაც შეიძლება იქცეს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები

საქართველოს ექსპორტის გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ქუთაისის უნივერსიტეტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

გოჩა უგულავა
ქუთაისის უნივერსიტეტი
gocha.ugulava@unik.edu.ge

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად, ეს პროცესი ქვეყნების ჭრილში განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება და მოითხოვს ეკონომიკური განვითარების ეროვნული და რეგიონული მოდელების თავისებურებების გათვალისწინებას. თუმცა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით არსებული სამართლებრივი ველი მნიშვნელოვნად ზღუდავს ცალკეული ქვეყნებისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში მისი გამოყენების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში ქვეყნები იძულებულნი არიან ეძებონ ახალი ლეგალური გზები შიდა ექსპორტიორების მხარდასაჭერად. კერძოდ, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ექსპორტისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მსოფლიო პრაქტიკაში, მსო-ს მოთხოვნების მიუხედავად, არსებობს წინააღმდეგობები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს (გაერთიანებებს) და განვითარებად ქვეყნებს შორის. საგარეო ვაჭრობის სფეროში სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებში განსხვავებები წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს, რომელთა ინტენსივობამაც განაპირობა მსო-ს ფარგლებში ინტერესთა ჰარმონიზაციის შესაძლებლობების ინსტიტუციონალური გაფორმების აუცილებლობა. მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ინსტიტუტებისა და რეგიონული სავაჭრო კავშირების ძალისხმევის მიუხედავად, იზრდება იმ პროტექციონისტული ბარიერების სია, რომლებიც ხელს უშლის საქონლის, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას. ამას ადასტურებს სხვადასხვა გადასახადებისა და კვოტების გამოყენების პრაქტიკა, იმპორტზე ტექნიკური შეზღუდვების (უსაფრთხოების ნორმების ან სტანდარტების შემოღება, რომლებიც განსხვავდება ექსპორტიორ ქვეყნებში დადგენილისაგან), ასევე ფისკალური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების დადგენა. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ექსპორტის ძირითადი ტენდენციები და გამოკვეთილია უმთავრესი გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, გლობალური უსაფრთხოება, საგარეო ვაჭრობა

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში

სლავა ფეტელავა
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
sfetelava@gnca.gov.ge

სტატიაში „ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში“ ავტორი ხაზს უსვამს ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ამასთანავე, დინამიკაშია წარმოდგენილი საქართველოში ამ პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების პროცესი, რომელიც დაყოფილია თოთხმეტი ეტაპად მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით (კონკურენციის საბჭოს შექმნა და აღსრულების მექანიზმების გაერთიანება ერთი ქოლგის ქვეშ). სამომავლოდ კონკურენციის ორგანო). ამასთან, გაანალიზებულია ქვეყანაში განხორციელებული პოლიტიკის პოზიტიური და უარყოფითი მხარეები თითოეულ ეტაპზე და გაკეთდა დასკვნა, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც განხორციელდა საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან - დასაწყისში. ხოლო ბოლო პერიოდში - გამორჩეული იყო. ანუ პირველი, მეორე და მერვე ეტაპებიდან მოყოლებული – ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად ან ნაწილობრივ მაინც წარმატებულად. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან დაგეგმილი ინსტიტუციური ცვლილების შემდეგ და საბოლოოდ, ქვეყანაში ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების პროცესის დანერგვით ერთი ორგანოს (კონკურენციის ეროვნული სააგენტო/კონკურენციის საბჭო) მეშვეობით, აღსრულება. ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კიდევ უფრო წარმატებული იქნება, რაც საქართველოში ბიზნესგარემოს უფრო უსაფრთხო და მიმზიდველს გახდის.

საკვანძო სიტყვები: ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, ინსტიტუციური ცვლილებები

სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

ნინო მიქიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.mikiashvili@tsu.ge

ეკონომიკური ზრდა აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ მდგრადი ზრდისთვის საჭიროა სამუშაო ძალის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში. ინკლუზიური ზრდა სოციალური პოლიტიკის განსხვავებულ მექანიზმს სთავაზობს საზოგადოებას, რომლის პირობებშიც შეჭირვებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება გადანაწილების პოლიტიკის ნაცვლად მათი ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვით ხდება. ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხილული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ძირითადი თავისებურებები, მისი მიღწევის გზები. ისინი დაკავშირებულია უთანასწორობის და სიღარიბის პრობლემის დაძლევასთან. როგორც მსოფლიო, ასევე, ლოკალურად, ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელი ხდება სისტემური, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი საქმიანობა სიღარიბის გლობალური პრობლემის შესარბილებლად, რაც მოვლენათა დადებითი განვითარების ფონზე საფუძველს შეუქმნის სიღარიბის აღმოფხვრას.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, ინკლუზიური ზრდა, უთანასწორობა, აბსოლუტური სიღარიბე, ჯინის კოეფიციენტი

სოციალური ქსელის შუქ-ჩრდილები: პოლიტ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები

იოსებ არჩვაძე
ქუთაისის უნივერსიტეტი
daswreba@yahoo.com

ლია ქურხული
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
kurkhulilia@yahoo.com

ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების წესში, ადამიანთა ქცევასა და ურთიერთობებში. მათ ბოლო მოუღეს ტელევიზიის მონოპოლიას ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, გააფართოეს და გაამდიდრეს ენობრივი ლექსიკონი. ქსელებმა შეაღწიეს ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა კომერცია და პოლიტიკა. დადებით ასპექტებთან, სოციალურ ქსელებთან მეტისმეტი სიახლოვეს და დამოკიდებულებას თან ახლავს ნეგატიური ასპექტებიც - რეალური ცხოვრებისა და ურთიერთობების ვირტუალურით ჩანაცვლების საფრთხე.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტი, სოციალური ქსელი, ფეისბუკი, ინფორმაცია, დამოკიდებულება

მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ

გიორგი შიხაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.shikhashvili@tsu.ge

კახაბერ რუსიძე
გამომცემლობა „მერიდიანი“
meridiani777@gmail.com

სტატიაში ასახულია მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმისა და თეოლოგიური ეკონომიკის შესახებ. ღმერთის განგებულებით, ქრისტიანულ მოძღვრებას უნდა ეყრდნობოდეს ცალკეული ქვეყნების და მთელი კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

საკვანძო სიტყვები: საკუთარი თავის შეცნობა. სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი. თეოლოგიური ეკონომიკა. ღმერთი, სამშობლო, ადამიანი

სუბიექტური ღირებულების თეორია და მისი სოციალური ასპექტები

გივი მაკალათია
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
givi.makalatia29@gmail.com

თემის აქტუალურობა. ეკონომიკა არაზუსტი, სოციალური მეცნიერებაა. განვლილი საუკუნეების განმავლობაში და განსაკუთრებით მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, მრავალი ეკონომიკური თეორია შეიქმნა. მიმდინარე პერიოდში აქტუალურია ნეოკლასიკური სინთეზის თეორია, რომელიც სხვადასხვა თეორიების „შემრიგებლურ“ პოზიციას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანები ერთმანეთთან ორი მიმართულებით ურთიერთობენ, ესენია: სოციალური და შრომითი. ეკონომიკა შეისწავლის ადამიანებს შორის შრომით ურთიერთობას, მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების გაცვლას. ადამიანისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანია სოციალური „პროდუქტების“ მიღებაც (მაგალითად სოციალური სტატუსი, მხარდაჭერა, მეგობრობა და ა.შ.). შესაბამისად ეკონომიკური თეორიები ცალკე აღებულ მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს არ განიხილავს, არამედ სოციალურ ფაქტორებსაც. ამიტომ მოდელები იყოფა შემდეგნაირად: სოციალურ-არაეკონომიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ასოციალურ-ეკონომიკურ მოდელებად. ეკონომიკური მოდელები ან პირველ რიგში განიხილავს ეკონომიკური დოვლათის შექმნას და შემდგომ სოციალური ფაქტორებს, ან ორივეს დაბალანსებულად, ან ჯერ სოციალურ ფაქტორებს და შემდგომ ეკონომიკურს. ამის შემდგომ, საზოგადოება ირჩევს თუ რომელია მისთვის მისაღები. ძირითადად აქ საუბარია კოლექტივიზმისა და მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. აქედან გამომდინარე, საინტერესოა დომინანტური ეკონომიკური თეორიის პირობებში როგორი მდგომარეობაა ამ კუთხით. კვლევა ეხება სწორედ ამ საკითხის გამორკვევას.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია ძირითადად დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები. აგრეთვე გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგები და შედარებულია ერთმანეთს თავისი განვითარების ეტაპებისა და ეკონომიკური მოდელების მიხედვით, მათ შორის საქართველოს. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ეთიკური დუალიზმის კონცეფციაზე, მის შინაარსობრივ ანალიზზე და ავტორისეულ ინტერპრეტაციაზე.

კვლევის ამოცანა. კვლევის ამოცანაა სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს შორის მიზეზ შედეგობრივი კავშირის გამოვლენა/შეფასება. ეთიკური დუალიზმის მახასიათებლების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების წარმოჩენა. აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული სოციალური კვლევების შედეგების მოძიება და შედარება, მათ შორის საქართველოსთან.

კვლევის მიზანი. დომინანტური ეკონომიკური თეორიის ეკონომიკური ჩარჩო-პირობების მოკლე ანალიზი. სუბიექტური ღირებულების თეორიის შეფასება, თანმდევი სოციალური ფაქტორების ანალიზის კუთხით. გამორკვევა იმისა, თუ როგორი ადამიანია აღნიშნულ მოდელში რაციონალური და რა თავისებურებებით ხასიათდება.

დასკვნა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, შეინიშნება მსოფლიოს მთლიანი სამამულო პროდუქტის მკვეთრი ზრდა წინა საუკუნეებთან შედარებით. აღნიშნული განპირობებულია

ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებით, კონკურენციის გამძაფრებით და კვანტური მექანიკის განვითარებით, რამაც შექმნა თვისებრივად ახალი შესაძლებლობები ტექნოლოგიების განვითარებაში. მიუხედავად, იმისა, რომ ეკონომიკური დოვლათი მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს მასშტაბით, სოციალური ფაქტორების ადეკვატურად გათვალისწინება გამოწვევად რჩება.

საკვანძო სიტყვები: სუბიექტური ღირებულების თეორია, ეთიკური დუალიზმის მახასიათებლები

დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

მედეა ხარაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
medea.kharaishvili@gruni.edu.ge

სტატიაში განხილულია დასაქმების პოლიტიკის მნიშვნელობა და უმაღლესი განათლების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. დასაქმების პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ პროგრამების და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ცდილობს გაზარდოს ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელი. ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. დასაქმების პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებზე. ადამიანისეული კაპიტალი ინოვაციური ეკონომიკის და ცოდნის ეკონომიკის, როგორც განვითარების შემდგომი მაღალი დონის ფორმირების მთავარი ფაქტორია. მასზე გავლენას ახდენს განათლება, ცოდნა, უნარები, კომპეტენციები, დამოკიდებულება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში, ისევე როგორც ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალში, ზრდის პიროვნებების შრომის პროდუქტიულობას, მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შრომისუნარიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ განვითარებაზე. კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს როგორც შრომის პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე, წარმოებაში ინვესტიციების მოზიდვას.

საკვანძო სიტყვები: დასაქმების პოლიტიკა, ადამიანისეული კაპიტალი, სწავლის შედეგები, უმაღლესი განათლება, ინვესტიციები

სექცია II

დიასპორები საქართველოში: რიცხოვნობა და სტრუქტურა

მირიან ტუხაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tuxamiri@yahoo.com

მზია შელია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mziashe@yahoo.com

მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ საქართველოს ტერიტორიაზე დიასპორათა რიცხოვნობა და ხვედრითი წილი განუხრელად იზრდებოდა. იგი კავკასიაში რუსული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მიმართულება იყო და გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. შემდგომ დაიწყო მთელ მოსახლეობაში მათი წილის ნელი შემცირების პროცესი, რაც ნახტომისებურად დაჩქარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პოსტსაბჭოთა პერიოდში. ამის მიზეზია ცხოვრების პირობების კატასტროფული გაუარესების გამო დიასპორათა უფრო მაღალი ტემპით გასვლა საზღვარგარეთ, ვიდრე ავტოქტონური ქართველი და აფხაზი ეროვნების მოსახლეობისა. დიასპორათა რიცხოვნობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა ქართველ ეთნოსში დიასპორათა ინტეგრაციის პროცესმა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითადი ავტოქტონური ქართული ეროვნების მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 512 ათასი კაცით, ანუ13,5%-ით, აფხაზთა რიცხოვნობა გაიზარდა 30%-ით, ხოლო დიასპორათა საერთო რიცხოვნობა შემცირდა 2,5-ჯერ. დიდი ცვლილებები მოხდა დიასპორათა დემოგრაფიულ სტრტუქტურაში. ეს გამოიხატა ყველა დიასპორათა დაბერებით. 1989-2014 წწ. მედიანური ასაკი რუსულ დიასპორაში 36, 7 წლიდან 48,8 წლამდე გაიზარდა, სომხებში-30,5-დან 38,4 წლამდე, აზერბაიჯანელებში - 23,5-დან 32,2 წლამდე, საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 30,7-დან 37,7 წლამდე. პოსტსაბჭოთა პერიოდში ფორმირდა და მატულობს თურქული, არაბული, ირანული, ინდური, ჩინური დიასპორები. ბოლო ხანს, საქართველოს ეკონომიკურ-კულტურული დაწინაურება ნოყიერ ნიადაგს ქმნის აზიური ქვეყნების მოსახლეობის მიგრაციული მიზიდვისათვის. აუცილებელი ხდება კარგად გააზრებული პოლიტიკით იმიგრაციული ნაკადების რეგულირება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, დიასპორა, ეთნოსი, მოსახლეობა

კონფრონტაციული გლობალიზაცია და მცირე ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა

გივი ბედიანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
givi.bedianashvili@tsu.ge

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში მცირე ქვეყნები აღმოჩდნენ ახალი გამოწვევების წინაშე. თვით კონფრონტციული გლობალიზაცია, განსხვავებით ტურბულენტური გლობალიზაციისაგან გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებებით. თუ გლობალიზაცია თავისი თავდაპირველი საწყისი ბუნებით წინა პერიოდებში ორიენტირებული იყო უმთავრესად ქვეყნებს შორის კოოპერაციაზე და საერთო გლობალური პრობლემების გადაჭრაზე, მისი კონფრონტაციული ფორმა უკვე ქვეყნებს შორის ურთიერთობის პრინციპულად სხვა ფორმატს აყალიბებს. ბოლო რამოდენიმე წლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნული გამოწვევა განსაკურებით აქტუალურია მცირე ქვეყნებისთვის, რომლებიც გამორჩევიან რესურსების შედარებით მცირე პოტენციალით და გარე შოკების მიმართ უფრო მაღალი მგრძნობიარობით. მცირე ქვეყნებისთვის კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში აუცილებელი ხდება მდგრადი კონკურენტუნარიანობის ეფექტიანად მორგებული კოცეფციის ჩამოყალიბება. ამასთან ერთად, აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების და მომავალის ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მოთხოვნებზე ორიენტაცია, სამეცნიერო კვლევების შესაბამისი სტიმულირება და ფინანსური მხარდაჭერის გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაციული გლობალიზაციის თავისებურებები, მცირე ქვეყნების გამოწვევები, გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა

მაკროეკონომიკური ფაქტები. საქართველო

დემურ გიორხელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
demurgio@yahoo.com

ნაშრომში განხილული და სისტემატიზირებულია ის მაკროეკონომიკური ფაქტები, რომლებიც საქართველოში ჩამოყალიბდა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და ქმნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესების გაგებისა და გააზრების საერთო საფუძველს. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ საშუალო და გრძელვადიან პერსპექ-ტივაში (20-30 წელი), როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, რა საფუძველზე აიგოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მოვახდინოთ ზრდის პროგნოზირება, ყოველ შემთხვევაში, მისაღებ დონეზე შეფასება მაინც. თანამედროვე ეკონომიკის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალზე რთული, მაგრამ შეფასების თანამედროვე საშუალებების (მეთოდების) გამოყენებით შესაძლებელი საკითხია.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკური ფაქტები, ეკონომიკური ზრდა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ზრდის პროგნოზირება

ცირკულარული ეკონომკის მოდელები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე

ნაზირა კაკულია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nazira.kakulia@tsu.ge

ბოლო პერიოდში მსოფლიო გლობალური პრობლემების ფონზე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არა სწორხაზოვან ეკონომიკას, არამედ ცირკულარულ ეკონომიკას. მსოფლიოში ცნობილია ცირკულარული ეკონომიკის რამოდენიმე მოდელი. ამ მოდელებს შორის მეტად გავრცელებულია ერთ-ერთი პირველი ცირკულარული ეკონომიკის – ვალტერ სტაჰელის (Walter R. Stahel) მოდელი, რომელიც მართალია სრულიად თეორიული სახით ქონდა წარმოდგენელი და იმ დროისთვის პრაქტიკული ახსნა არ გააჩნდა. სწორხაზოვან და ცირკულარულ ეკონომიკებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებებზეა საუბარი კენეტ ბოულდინგის (Kenneth Boulding) 1966 წელს გამოქვეყნებულ მოდელში, სადაც დედამიწა განხილულია როგორც ჩაკეტილი და წრიული სისტემა შეზღუდული რესურსებით. ავტორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს შენარჩუნების თანხვედრით, რაიმე წონასწორული წერტილის აღმოჩენა. ეს მოდელი ბოულდინგის წონასწორული წეტილის მიღწევის იდეალისტური ვარიანტია. წრიულ ეკონომიკას შეუძლია მდგრადი განვითარების მთავარ მოდელად იქცეს, რადგან სწორხაზოვანი ეკონომიკა გარემოზე მავნედ ზემოქმედებს და იწვევს რესურსების ამოწურვას. აგრეთვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ ბი ჯონსონის ე.წ. „5R“-ის მოდელი (*Refuse Reduce, Reuse, Recycle, Rot*). ასევე კვლევაში განხილულია ცირკულარული ეკონომიკის სხვა თანამედროვე მოდელები.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, მოდელი

CBDC - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა: უპირატესობები და ნაკლოვანებები

მალხაზ ჩიქობავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhaz.chikobava@tsu.ge

სტატიაში განხილულია CBDC-ის (ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების) უპირატესობები და სავარაუდო ნაკლოვანებები. აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში მთელი მსოფლიო მოიცვა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) შექმნის ციებრ-ცხელებამ. ასზე მეტი ცენტრალური ბანკი დაკავებულია ამ თემით. მოცემულ საკითხში ყველაზე მეტად დაწინაურებულთა რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, შვედეთის, ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები. დაახლოებით ათეულ ქვეყანაში ხელისუფლებამ უკვე გამოაცხადა ციფრული ვალუტის დანერგვის შესახებ. მაგრამ ეს არის უპირატესად მცირე იურისდიქციები, რომლებიც, ექსპერტების აზრით, გამოიყენება, როგორც საგამოცდო პოლიგონი. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა (BIS), ღრმად შეისწავლა CBDC-ის საკითხი. ის უწევს საკონსულტაციო დახმარებას ცალკეული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს ციფრული ვალუტის პროექტების მომზადებაში და ასევე იწყებს პროექტებს ცალკეული ქვეყნების ციფრული ვალუტების სისტემების დასაკავშირებლად, რათა გამოიყენონ CBDC, როგორც ქვეყნებს შორის გადახდის საშუალება. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ BIS-ს აქვს შორსმიმავალი მიზნები შექმნას ერთიანი CBDC ყველა ქვეყნისთვის - გლობალური ციფრული ვალუტა, რომელმაც უნდა შეცვალოს აშშ დოლარი (Heller, 2021). რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF), ბოლო დრომდე CBDC-ის თემა მისთვის პერიფერიულ ინტერესს წარმოადგენდა. თუმცა, 2023 წლისათვის სავალუტო ფონდის ინტერესი შეიცვალა ციფრული ვალუტის მიმართ. მიმდინარე წლის აპრილში ვაშინგტონში ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის (WB) მმართველი ორგანოების ყოველწლიური საგაზაფხულო სესია, სადაც ადგილი ჰქონდა არაერთ გამოსვლას CBDC-ის თემაზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ვალუტა, კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, კომერციული ბანკები, ცენტრალური ბანკი

მდგრადი ურბანიზაცია და ზიფის კანონი საქართველოს ქალაქებისთვის

ლია თოთლაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
lia.totladze@tsu.ge

მამუკა ხუსკივაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
mamuka.khuskivadze@tsu.ge

თანამედროვე პოსტპანდემიურ სამყაროში, სადაც პანდემიით გამოწვეულს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები, ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია. ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. ანალიზირებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებს და განხილულია ზიფის კანონი საქართველოს ქალაქების სიდიდესთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარების მიზნები, ურბანიზაცია, მოდელირება, ზიფის კანონი

გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

მურმან ცარციძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.tsartsidze@tsu.ge

შოთა გაბადაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.gabadadze@tsu.ge

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების თავისებურებების გათვალისწინებით, ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირება. ეს უკანასკნელი გულისხმობს დასაქმების თანამედროვე მოქნილი ფორმების განვითარებასა და ეფექტიან გამოყენებას. დასაქმების მოქნილი, თავისუფალი ფორმები ვითარდება გიგ-ეკონომიკის პირობებში. იგი დაფუძნებულია ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც თანამედროვე კომპანიებისაგან მოითხოვს დასაქმებისა და მენეჯმენტის პრობლემებისადმი ტრადიციული მიდგომების საფუძვლიან გადახედვას და თანმიმდევრულ ინტეგრაციას აბსოლუტურად ახალ ციფრულ სივრცეში. გიგ-ეკონომიკის პირობებში ასევე ხორციელდება სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება და იგი მნიშვნელოვნად აფართოებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების (ახალგაზრდები, ქალები, ინვალიდები, პენსიონერები და სხვა) დასაქმების შესაძლებლობებს. ნაშრომში განხილულია გიგ-ეკონომიკის არსი, მისი ფუნქციონირების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. დასაბუთებულია, რომ გიგ-ეკონომიკის პირობებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ბიზნესი და სერვისის, დასაქმების სხვადასხვა ფორმები ძირითადად მოქცეულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში და იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ნაშრომში ასევე შეფასებულია გიგ-ეკონომიკის განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: გიგ-ეკონომიკა, შრომის ბაზარი, დასაქმება, დისტანციური დასაქმება, არაფორმალური დასაქმება, შრომითი ურთიერთობები

ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის

აკაკი არსენაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
akaki.arsenashvili@tsu.ge

ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანების გამოკვლევა ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სისტემის სტრუქტურის ცვლილება ნიშნავს იმას, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს აერთიანებს მათ ერთ სისტემაში ცვლადი სტრუქტურით. ასეთი პრობლემები მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებისთვის. ამ სტატიაში განვიხილავთ ზოგად ეკონომიკურ სისტემას, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აღწერილია ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მოცემულია ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაცია ძირითადი მიზნის მიღწევის შესაძლებლობის მიხედვით. გათვალისწინებულია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური სისტემის არსი დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც მუდმივია დროის გარკვეულ ინტერვალებში, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ წინასწარ უცნობ დროს. ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ეს თავისებურება საშუალებას გვაძლევს ასეთი სისტემა განვიხილოთ როგორც ცვლად სტრუქტურიანი ოპტიმალური სამართი სისტემა. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ინდიკატორები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესახებ შესაბამისად დროის მოცემულ ინტერვალში და მოცემულ მომენტში. შესრულებული ანალიზის საფუძველზე დასმულია ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ერთი მარტივი წრფივი ცვლადი სტრუქტურის ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: ცვლადი სტრუქტურა, მართვის ამოცანა, ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემის ეფექტურობა, სისტემის ეფექტიანობა, ეფექტიანობის გრადიენტული მაჩვენებელი

კონფრონტაციული გარემოს გავლენა ახალგაზრდების დასაქმებაზე

მანანა ლობჟანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
manana.lobzhanidze@tsu.ge

კვლევაში შესწავლილია კონფრონტაციული გარემოს უარყოფითი გავლენის შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. დასაბუთებულია, რომ კონფრონტაციულ გარემოში ინსტიტუციების ფუნქციონირება უკიდურესად სუსტია და სრულყოფილად ვერ ხორციელდება სახელმწიფო ფუნქციები (უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მართლმსაჯულება და სხვ.), რაც იწვევს არასტაბილურობას. შესაბამისად, შრომის ბაზრის მონაწილეებსაც ეზღუდებათ ღირსეული სამუშაოს მიღების შესაძლებლობები. კონფრონტაციის შედეგად მწვადება მიგრაციული პროცესები, რთულდება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დასაქმება. ლტოლვილთა და მიგრანტთა მასობრივი გადაადგილება, დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა და დაბალი ხარისხის სამუშაო ადგილები შეიძლება გახდეს სოციალურ-ეკონომიკური დაუცველობისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზი. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 600 მლნ-ზე მეტი ახალგაზრდა ცხოვრობს გახანგრძლივებული კონფლიქტების გარემოში, რაც დიდწილად უწყობს ხელს მათი უმუშევრობის ზრდას. კონფრონტაციის გამო გლობალურად 64 მლნ ახალგაზრდა უმუშევარია და მათი დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. კვლევაში დეტალურად არის შეფასებული არსებული ტენდენციები და კონფრონტაციულ გარემოში ახალგაზრდების დასაქმების მოსალოდნელი შედეგები. გაანალიზებულია კონფრონტრაციულ გარემოში ახალგაზრდების დასაქმების ხელისშემშლელი ბარიერები. ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდების პროდუქტიულ საქმიანობაში ჩართვასა და შემოსავლების მიღებას. კლასიფიცირებულია კონფრონტრაციულ გარემოში ახალგაზრდების დასაქმებაზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები. ეგზოგენური ფაქტორებში უპირატესად განხილულია კონკრეტული სახელმწიფოს კონტროლს მიღმა არსებული საფრთხეები (კატასტროფული მოვლენები, გარე საფრთხეები, გლობალური ვაჭრობა, ფინანსური შოკები, ლტოლვილთა ან მიგრანტთა ნაკადები და სხვა). ენდოგენური ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა, შეფასებულია კონკრეტული სახელმწიფოს პირობებიდან (დისფუნქციური საჯარო ინსტიტუტები, სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი, დემოგრაფიული ზეწოლა, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და სხვა). წარმოდგენილია ამ ფაქტორების გავლენა დასაქმებაზე. კონფრონტაციულ გარემოში ახალგაზრდების დასაქმებასა და საჭიროებებზე რეაგირება კრიზისით დაზარალებული ქვეყნის სტაბილიზაციის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაციული გარემო, ახალგაზრდების დასაქმება, მიგრაცია, ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები

ინოვაციური უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში

თეა ლაზარაშვილი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
tea.lazarashvili@tsu.ge

სტატიაში განხილულია ინოვაციური უსაფრთხოების ცალკეული თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. დღევანდელ პირობებში, ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და მათი დანერგვის პროცესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის. უმეტესობა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევები, რომლებიც ეხება ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური კომპონენტი ამ კვლევებში განიხილება, როგორც ეკონომიკური ან/და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. დღეისათვის არ არსებობს ინოვაციის ზემოქმდების ერთმნიშვნელოვანი არსი ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლისას ცვლილებები ხდება არა მხოლოდ ეკონომიკასა და მის შემადგენელ ნაწილებში, არამედ ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამცნიერო-ტექნიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში, აგრეთვე სახელწიფოსა და საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და პიროვნების გნავითარებაში. იმ მრავალმხრივი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ვლინდებიან ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი უსაფრთხო განვითარების პროცესში, წარმოიშვება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ისეთი ახალი მიმართულების ფორმირების ობიექტური საჭიროება, როგორიცაა ინოვაციური უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება

მეცნიერება და ინოვაციები, როგორც განახლებადი ენერგიის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი

ირმა ტყემალაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irma.tkemakadze@tsu.ge

მდგრადი განვითარების მეშვიდე მიზანი ფოკუსირებულია 2030 წლისთვის ხელმისაწვდომ, საიმედო, მდგრად და თანამედროვე ენერგომომარაგებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისაკენ, რაც დადებით გავლენას ახდენს მდგრადი განვითარების სხვა ასპექტებზე და მიზნების მიღწევაზე. სიღარიბის შემცირება (მიზანი 1) სხვა საკითხებთან ერთად მოითხოვს თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას - განახლებად ენერგიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ასეთი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. იგი ასევე აუცილებელია საწარმოო პოტენციალის გაძლიერებისა და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობების შესაქმნელად. განახლებად ენერგიას ასევე შეუძლია წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზრდაში (მიზანი 3) გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შემცირებით. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენდერული თანასწორობის კუთხით (მიზანი 5). გარდა ამისა, არსებობს აშკარა სინერგია ინდუსტრიალიზაციასთან, ინოვაციებთან და ინფრასტრუქტურასთან (მიზანი 9) ასევე, კლიმატის ზემოქმედებებთან (მიზანი 13). ბევრი ეროვნული ინოვაციის სტრატეგია და საერთაშორისო ინიციატივა ხაზს უსვამს განახლებადი ენერგიის როლს ტექნოლოგიებისა და სათბურის გაზების ზემოქმედების შემცირებაში, რომლებიც იწვევენ კლიმატის ცვლილებას, მოიცავს განახლებადი ენერგიის წყაროების მზარდ გამოყენებას მათ ელემენტებს შორის. ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ან ხელი შეუშალოს განახლებადი ენერგიის განვითარებას, არის ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური ხასიათის. მოიცავს ღირებულებას, ხელმისაწვდომობას, დაფინანსებას, ტექნიკურ სიმწიფეს, ენერგოსისტემებში ინტეგრაციის უნარს, გარემოს მდგრადობას, ინოვაციებზე ხელმისაწვდომობას, ცოდნისა და უნარების გავრცელების დონეს. მათგან განსაკუთებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და ინოვაციების როლს. ახალი უნარებისა და ცოდნის გარეშე განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვა ფაქტობრივად შეუძლებელია. მხოლოდ ინოვაციების წყალობით არის შესაძლებელი გაუმჯობესდეს განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები და შემცირდეს მასთან დაკავშირებული ხარჯები. მოცემული მიზნების მიღწევა შესაძლებელია საერთაშორისო თანამშრომლობით და მთავრობების აქტიური ჩართულობით. საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით, მოცემული განახლებადი ტექნოლოგიის ინოვაციების ჯაჭვი ქმნის შესაძლებლობებს ეკონომიკური სპეციალიზაციისთვის. მთავრობები, როგორც წესი,

მთავარ როლს ასრულებენ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში, მათ შორის, მაგალითად, კვლევისა და განვითარების დაფინანსებით, მათი დანერგვის სტიმულებზე მოთხოვნის შექმნით, ენერგეტიკული ბაზრების რეფორმით და სტანდარტების დაწესებით, ინვესტორების ნდობის გაზრდის მიზნით სხვა ღონისძიებების გატარებით. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ღონისძიებები და პოლიტიკები ადგილობრივი ინოვაციური შესაძლებლობების განსავითარებლად შეიძლება მოიცავდეს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების მხარდაჭერას, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებში.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერგორესურსები, მეცნიერება და ტექნოლოგიები, ენერგოსისტემა, გარემოს მდგრადობა

საქართველოს კომერციული ბანკების მოგების გადასახადის შეფასების ინდიკატორები და საბანკო სექტორის მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლის ალტერნატივა (საგადასახადო რისკების შეფასების მნიშვნელობა გლობალურ პანდემიური შოკის შემდეგ)

გიორგი ცუცქირიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
abg_press@yahoo.com

კომერციული ბანკების მოგების გადასახადის შესაფასებლად საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელოვანი ინდიკატორი რომელთა ანალიზსაც გთავაზობთ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით. სისტემის შეფასება პოსტ პანდემიურ პერიოდს 2021-2022 წლებს მოიცავს, რადგან 2021-2022 წლებში სააქართველოს ეკონომიკის ორნიშნა ზრდასთან ერთად, საბანკო სისტემის წმინდა მოგება 2 მილიარდ ლარს გაუტოლდა, ამასთან, 2023 წელს უნდა მოხდარიყო კომბანკების ესტონური მოდელის მოგების გადასახადზე გადასვლის მიზანშეწონილობის განხილვაც. წარმოდგენილი კვლევა მოგების დაბეგვრის ახალ მოდელზე გადსვლის ბმიზანშეწონილობას განიხილავს. მოხსენება შესრულებულია შედარებითი ანალიზის პრინციპით, ხოლო ანალიზისას ასევე გამოყენებულია ევროპის ქვეყნების საბანკო სისტემების ფინანსური მონაცემები. ნაშრომში ასევე განხილულია საგადასახადო სკანდალებთან დაკავშირებული ისტორიები, ბოლო ათი წლის განმავლობაში მრავალი სკანდალი მოხდა, რომლებიც ნათელს მოჰფენდა გადასახადებისგან თავის არიდებასთან დაკავშირებულ სქემებს. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ მაღალი სპრედის და საპროცენტო მარჟის პირობებში, რაც მართლია აზღვევს რისკებს, მათ შორის აქტივების შესაძლო დანაკარგებზე, მაგრამ დაკრედიტების მაღალი ტემპები ანუ ბაზარზე საკრედიტო ექსპანსია იწვევს ერთის მხრივ აქტივებზე დანაკარგების ზრდას და მეორეს მხრივ, ამცირებს საგადასახადო მოგებას. ამასთან, საქართველოს წამყვან სისტემფორმირებად კომერციულ ბანკებში ეფექტური საგადასახადო განაკვეთები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საშუალო ევროპული მაჩვენებლების, მოგებაზე საგადასახადო ნორმატივს, როგორც ყველა ტიპის საბანკო დაწესებულებების, ისე ცალკეული კომერციული ბანკების შემთხვევაში. საქართველოს საბანკო სისტემა ფუნქციონირებს საშუალო ევროპულზე მაღალი საბანკო კონცენტრაციის პირობებში, ასევე საშუალო ევროპულზე მაღალი დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთებით, რაც უზრუნველყოფს რა სისტემის მაღალ მომგებიანობას, ასევე აჩვენებს კონკურენციის დაბალ დონესაც და საბანკო სექტორის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად საბანკო კონკურენციის გაზრდის საკითხი უნდა მივიჩნიოთ, მათ შორის ევროპული ბანკების შემოსვლის ხეკლშეწყობა ქართულ

საბანკო ბაზარზე. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საპროცენტო განაკვეთების კლებაზე არა დამატებით საგადასახადო შეღავათები, არამედ არასაპროცენტო ხარჯების ოპტიმიზაცია უფრო იმოქმედებს. მართალია არასაპროცენტო ხარჯების პროპორცია მთალიან შემოსავლებში საქართველოს კომბანკებში საშუალო ევროპულზე შედარებით დაბალია, გაცილებთ დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო, მაგრამ ბანკებს შეუძლიათ არსაპროცენტო ხარჯების სტრუქტურა შეცვალონ ციფრული პლათფორმების გაუმჯობესებით, რაც გაზრდის არსაპროცენტო შემოსავლებსაც. კერძოდ, განაწილებული მოგება რომელიც 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, შენარჩუნდება საფინანსო ინსტიტუტებისთვის, მათ შორის ბანკებისთვის, დაბეგვრის არსებული წესები. ამასთან, 2023 წლიდან ბანკებისთვის არსებული კორპორატიული გადასახადის განაკვეთი 15%-დან 20%-მდე გაიზრდება. რაც ჩვენი შეფასებით გამართლებულია და საბანკო სექტორი არ საჭიროებს დამატებით პრევენციებს საგადასახადო ლიბერალიზაციის კუთხით. მოგების გადასახადის ე.წ ესტონური მოდელი გახდა ბიზნესის სტიმულატორი რეინვესტირებული მოგების საბრუნავ კაპიტალში შეშვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით არა მსხვილი, არამედ საშუალო და მცირე ბიზნეზის საბრუნავი კაპიტალის მხარდასაჭერად. საბანკო სქეტორს ეს პრობლემა დღეს ნაკლებად უდგას და მთავრი პრობლემა არც აფერხებს საპროცენტო განაკვდეთების კლებას,, როგორც ავღნიშნეთ არასათანადო საბანკო კონკრენციაშია საძიებელი. საქართველოს საბანკო სისტემის არსებული საგადასახადო მოდელი, ისედაც უზრუნველყოფს მაღალ უკუგებას კაპიტალზე და აქტივებზე, რაც ინვესტორთა მიმზიდველობას და საერთაშორისო ბაზრებიდან საკრედიტო რესურსების შეუფერხებლად მოზიდვას უზრუნველყოს. შესაბამისად, მაღალი საპროცენტო მარჟის პირობებში მოქმედი საგადასახო განაკვეთის 20 % მდე გაზრდა ნაკლებად გახდება ხელისშემშლელი ფაქტორი სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად, რაზეც ხდება ძირითადი აქცენტების გადატანა.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს კომერციული ბანკები, მოგების გადასახადის შეფასების ინდიკატორები, ესტონური მოდელი, საგადასახადო რისკები

ბიუჯეტის ადმინისტრირების მექანიზმები გლობალური ეკონომიკის პირობებში

მარინა ტაბატაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tabatadze_marina@yahoo.com

ანნა თანდილაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ილიას უნივერსიტეტი

თანამედროვე გლობალური სისტემები ახალ სტანდარტებს აყალიბებს ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და არსებითად ცვლის მის პრიორიტეტებს, იცვლება ამ სისტემაში ქვეყნების მონაწილეობის ეკონომიკური სტატუსიც, მსოფლიო ეკონომიკისთვის დღეს რეგიონალიზმის ზრდა და ეკონომიკის სივრცითი სისტემების შექმნაა დამახასიათებელი, იცვლება კლასიკური ეკონომიკური კონცეფციები, იქმნება მისი ახალი მოდელი, - ეკონომიკური ნაციონალიზმის სახით, იზრდება რისკები, მათი სიმწვავე და მასშტაბები, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და პროგნოზირებადობა ხდება, იკვეთება ეკონომიკის გამოთანაბრების, მისი სოციალური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხები. გლობალურ ეკონომიკას მართვის ერთიანი სისტემის დეცენტრალიზაციასთან ერთად, თვით ქვეყნებში ცენტრალიზებული მართვის ელემენტების გააქტიურება ახასიათებს, ეს მსოფლიო თანამშრომლობის ახლებური სტანდარტების შემუშავებას და განვითარების ინტეგრაციული და ეროვნული ფაქტორების დაბალანსებას მოითხოვს. კვლავ აქტუალური ხდება ეკონომიკაზე ხელისუფლების ზეგავლენის და მისი უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი. საჯარო მმართველობის სწორი კოორდინირება ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპს ემყარება, რაც საზოგადოების დემოკრატიული მოდელის მთავარი ფორმა და მართვის ინსტრუმენტების საზოგადოებისათვის გადაცემის საფუძველია. სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების ოპტიმალური განაწილება, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიული პრინციპები და უფლებამოსილებათა განაწილების ფისკალური მექანიზმები, სივრცითი ეკონომიკის სტრუქტურირების თავისებურებები და მისი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია. ნაშრომში მოცემულია ეკონომიკის თანამედროვე მმართველობითი სტანდარტები, მისი კონცეპტუალური ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები, გლობალურ გარემოში ეკონომიკური სისტემების სწორი კოორდინირების და ბიუჯეტის დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები, განხილულია ეკონომიკის მართვაში საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაციის როლი და თავისებურებები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სისტემების კოორდინირება, რეგიონალიზმი და სივრცითი ეკონომიკა, სახელისუფლებო ფუნქციების განაწილება, ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, მმართველობითი სტანდარტები

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები

ლანა ებრალიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
l.ebralidze@gruni.edu.ge

მიხეილ დუნდუა
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის საერთაშორისო პოზიციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საქართველო სისტემატიურად განაგრძობს პროგრესს და ზრდის მისი საინვესტიციო გარემოსადმი საერთაშორისო (და რა თქმა უნდა ადგილობრივ) სანდოობას. ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც საქართველოს რეპუტაციის ჩამოყალიბებას და განვითარებას უწყობს ხელს - „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებია“. მსოფლიო ბანკის კვლევა „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ ათეულობით კვლევითი ცენტრის და საერთაშორისო ორგანიზაციის შემაჯამებელ ანალიზს უყრის თავს რამდენიმე შეფასებით აგრეგატში. კვლევა ყოველი წლის შემოდგომაზე ქვეყნდება. მიმდინარე კვლევა 2022 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით საქართველომ კორუფციისაგან თავისუფლების, კორუფციის კონტროლის მიხედვით მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. ერთ-ერთი საინტერესო პარამეტრში - „კორუფციის კონტროლის“ კუთხით საქართველო მსოფლიო ბანკის წევრ 189 ქვეყანას შორის 2023 წელს 5 ადგილით დაწინაურდა, ტოპ 40-ში გადავიდა და 40 -ე პოზიციაზე მოხვდა, ამავე ქვეყნებს შორის ევროპაში 21-ე, კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში კი 18-ე ადგილზე გავიდა. კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოს, ნატოს წევრ 13 ქვეყანას. ეს სახელმწიფოებია: ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, იტალია, კვიპროსი, მალტა, ხორვატია, უნგრეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო, ალბანეთი, თურქეთი. კავკასიასა და შავიზღვისპირეთში საქართველო პირველ ადგილზეა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ ბალტიისპირეთს. ისეთი გლობალური ინდიკატორები როგორიცაა: მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ეკონომიკის თავისუფლების ინდექსი, კორუფციის აღქმის ინდექსი და სხვა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის მრავალმხრივ მდგრად განვითარებას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მოსახლეობის კეთილდღეობის და ცხოვრების ზოგადი დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, ეფექტიანი მმართველობა, რეიტინგები

დასაქმებას და ხელფასებს შორის სექტორების-რეგიონების მიხედვით უთანასწორობის ეკონომეტრიკული ანალიზი - საქართველოს მაგალითზე

ნინო კულატამიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ninokulatamishvili@gmail.com

დასაქმებაც და ხელფასიც თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის და მოქალაქეების კეთილდღეობის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს. დასაქმება ინდივიდებს აძლევს შემოსავლის, უნარების განვითარებისა და სოციალური კმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო ხელფასები თავის მხრივ უზრუნველყოფს ადეკვატურ ანაზღაურებას. აღნიშნული ცვლადების ეკონომეტრიული ანალიზის მიხედვით ვეცდებით დავაკვირდეთ დასაქმებასა და ხელფასებს შორის სექტორებისა და რეგიონების მიხედვით, ასევე ქალაქ-სოფლის ჭრილში არსებულ მდგომარეობა. ამასთან, მოდელის საფუძველზე შეფასდება უთანასწორობის არსებობა ან მოხდება უარყოფა, რისთვისაც გამოყენებული იქნება დისკრეტულცვლადებიანი ეკონომეტრიკული მოდელი (LOGIT მოდელი). აღსანიშნავია, რომ მოდელი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს განსხვავებული ტიპის ეკონომეტრიკულ ანალიზს და საშუალებას გვაძლევს როგორც ცალ-ცალკე ცვლადების ზემოქმედების დადგენა განვსაზღვროთ, აგრეთვე ერთობლივი ზემოქმედების დადგენასაც შესაძლებელს ხდის, რაც შეფასებული კოეფიციენტების სწორი ეკონომიკური ინტერპრეტაციის მთავარი პირობაა. დასაქმებაზე ზემოქმედი ფაქტორების თავისებურებებიდან გამომდინარე, განსახილველ მოდელებში აუცილებლად გათვალისწინებული იქნება ისეთი თვისობრივი ფაქტორები, როგორიცაა სქესი, ასაკი, ეროვნება, ქალაქი-სოფელი, რეგიონი, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია, განათლების დონე. კვლევისთვის დასაყრდენს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამუშაო ძალის მონაცემთა ბაზის მიხედვით მიღებული ანალიზი. უპირველესად შეფასდება დასაქმების და ხელფასების აღწერილობითი სტატისტიკა სექტორებსა და რეგიონებში დასაქმებისა და ხელფასების განაწილების ძირითადი ასპექტების უზრუნველსაყოფად. შემდეგ, რეგრესიული მოდელის გამოყენებით (LOGIT მოდელი) გავაანალიზებთ დასაქმებასა და ხელფას შორის კავშირს, სხვა შესაბამისი ცვლადების გათვალისწინებით, როგორიცაა განათლების დონე, გამოცდილების ხანგრძლივობა, სქესი და სამუშაოს ტიპი. მოხდება შესაბამისი დასკვნების გაკეთება

საკვანძო სიტყვები: დასაქმებას და ხელფასებს სორის რეგიონთაშორისი უთანასწორობა, ეკონომომეტრიკული ანალიზი

სექცია III

პროფესიული განათლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური ტენდენციები თანამედროვე საქართველოში

სიმონ გელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
simon.gelashvili@tsu.ge

მარიამ დანელია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mariam.danelia326@eab.tsu.edu.ge

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პროფესიული განათლების მდგომარეობა და იდენტიფიცირებულია არსებული პრობლემები საქართველოში. კვლევის **ძირითადი მიზანია** პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ვითარებისა და შრომის ბაზართან მისი ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი და შეფასება. კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. **კვლევის საგანია** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სტატისტიკისა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ტენდენციები. კვლევის პროცესში გამოყენებულია მრავალი სტატისტიკური მეთოდი, როგორიცაა: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა დაჯგუფება და პრეზენტირება, შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის, კორელაციური ანალიზის მეთოდები. სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, ელექტრონული ფორმით, გამოიკითხა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და მიღებული იქნა სიღრმისეული ანალიზისათვის საჭირო ინფორმაცია. **კვლევის შედეგად** გამოვლინდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, მოქმედი პროფესიული პროგრამების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, პედაგოგ-მასწავლებლების შემადგენლობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ტენდენციები. ასევე, დადგინდა ბიზნეს სექტორსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირის ფორმები და პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ორივე მხარეს აქვს თანამშრომლობაზე მზაობა, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომელთა გათვალისწინებაც დადებითად იმოქმედებს შრომის ბაზარზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირებაზე. ასევე, ჯერ კიდევ მცირეა იმ პროფესიული პროგრამების რაოდენობა, რომლებითაც ხორციელდება სპეციალისტთა მომზადება და აუცილებელია მათი გაფართოება შრომის ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, სტუდენტთა რიცხოვნობა, ტენდენცია, ბიზნეს სექტორი, კურსდამთავრებულთა დასაქმება

პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება

ნუგზარ თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.todua@tsu.ge

გიორგი რობაქიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.robakidze@tsu.ge

ნაშრომში შესწავლილია პროდუქტის (ბრენდის) განთავსების როლი თანამედროვე ბიზნესში. პროდუქტის განთავსების ძირითად ცვლადებად მიჩნეულია პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, ბრენდებისადმი დამოკიდებულება და მყიდველობითი განზრახვა. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია ტრადიციულ რეკლამირებასა და პროდუქტის განთავსებასთან მიმართებით რესპონდენტების მოსაზრებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ პროდუქტის განთავსების მიმღებლობასა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებას შორის დამოკიდებულებას, აგრეთვე, აღნიშნული ცვლადების გავლენას ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე. სტატიაში, ასევე, დადგენილია ქართველი მომხმარებლების ბრენდებისადმი დამოკიდებულების გავლენა მათ მყიდველობით განზრახვაზე.

საკვანძო სიტყვები: პროდუქტის განთავსება, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა

საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები და კონკურენტული სტრატეგიები კონფრონტაციულ გარემოში

ბადრი გეჩბაია
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
gechbaia.badri@bsu.edu.ge

ამირან წილოსანი
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
atsilosani@gmail.com

ნაშრომში დასაბუთებულია საერთაშორისო გადაზიდვის ერთ-ერთი ყველაზე ადაპტირებული მეთოდის საკონტეინერო გადაზიდვის უპირატესობები: ტვირთის ერთჯერადი ჩატვირთვა და დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება; მულტიმოდალური გადაზიდვების გზით დროის დაზოგვა; ტვირთის დაზიანების ნაკლები რისკები; ტვირთის დაცვა ნეგატიური ფაქტორებისგან, როგორიც არის ატმოსფერული მოვლენები და კონფრონტაციები; მარტივი საბაჟო კონტროლის პროცედურები და სხვა. კვლევაში შეფასებულია საკონტეინერო გადაზიდვების კონკურენცია გადაზიდვების ბაზარზე. გაანალიზებულია საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური ინდექსი, განხილულია კონტეინერით სარგებლობის ფასები. ფასების დინამიკური ანალიზის გზით დადგენილია საკონტეინერო გადაზიდვების ფასების გავლენა პროდუქტის ფასზე. ნაშრომში შემუშავებულია დასკვნები საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების გამოწვევებზე და შემუშავებულია რეკომენდაციები კონკურენტული სტრატეგიების შემუშავებისა და ცვლილების შესახებ კონფრონტაციულ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: საკონტეინერო გადაზიდვები, საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები, კონკურენტული სტრატეგიები, საკონტეინერო გადაზიდვების ფასები

ნეირომარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

ნათია დაღელიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
natia.daghelishvili@gruni.edu.ge

მაია გოგიაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
m.gogiashvili@gruni.edu.ge

მომხმარებელთა ქცევის გააზრება დიდი ხანია მარკეტინგული კვლევის ფოკუსია, რადგან ეს აუცილებელია ბრენდის ეფექტური პოზიციონირების, პროდუქტის განვითარებისა და სარეკლამო სტრატეგიებისთვის. ტრადიციული მიდგომები, როგორიცაა გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები, ავლენს საინტერესო მონაცემებს, მაგრამ ისინი ხშირად გამოტოვებენ ქვეცნობიერ და ემოციურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღებაზე. მომხმარებელთა ქცევის უკან არსებული ფუნდამენტური ნევროლოგიური მექანიზმების გასაგებად ეფექტური გზაა ნეირომარკეტინგი, განვითარებადი სფერო ნეირომეცნიერებისა და მარკეტინგის კონტექსტში. ნაშრომი იწყება ნეირომარკეტინგის თეორიული საფუძვლების მიმოხილვით და განმარტავს, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს ქცევითი ეკონომიკისა და კოგნიტური ნეირომეცნიერების შეხედულებები მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაგებად. შემდეგ, ის იკვლევს სხვადასხვა ნეიროვიზუალიზაციის მეთოდებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება ნეირომარკეტინგის კვლევებში, ხაზს უსვამს მათ უპირატესობებს, ნაკლოვანებებს და საუკეთესო პრაქტიკას. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს წინა კვლევების საფუძვლიან ანალიზს, რომლებმაც შეისწავლეს მომხმარებელთა რეაქციები სხვადასხვა მარკეტინგულ სტიმულებზე, როგორიცაა პროდუქტის მახასიათებლები, ფასები, შეფუთვა, ბრენდინგი და სარეკლამო ტაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: ნეირომარკეტინგი, იმიჯი, რეკლამა

ანტიკრიზისული პიარის რელევანტურობა კონფრონტაციულ გარემოში

მაკა კობალავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
marine.kobalava@tsu.ge

კვლევაში გაანალიზებულია მოსალოდნელი კრიზისის სცენარები კომპანიებში, დასაბუთებულია კომპანიისათვის პრევენციული ზომების მიღების აუცილებლობა, შეფასებულია პიარის როლი კომპანიების გადაწყვეტილებებში კრიზისის შესამცირებლად ან მისი თავიდან ასაცილებლად. ყურადღება გამახვილებულია ანტიკრიზისული პიარის განხორციელების მნიშვნელობაზე, შესწავლილია პიარის გამოყენების გარეშე კრიზისის გაღრმავების საშიშროება და საზოგადოების მხრიდან მოსალოდნელი ნეგატიური დამოკიდებულებები, მათ შორის: კრიზისის დაძლევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გახანგრძლივება; კრიზისის გამძაფრება; კომპანიების სუსტი მხარეების გაძლიერება; ფინანსური დავალიანებების გაზრდა; რეპუტაციის შელახვა და სხვა. კრიზისის შესამცირებლად პიარის რელევანტური ინსტრუმენტების გამოყენებისათვის, უპირველესად, მიზანშეწონილია კრიზისის ხარისხის განსაზღვრა. ამ თვალთახედვით განხილულია კრიზის სახეობები: მოულოდნელი, განვითარებადი და მყარი კრიზესები. მოულოდნელი კრიზისის შესასწავლად და პიარის ინსტრუმენტების შესარჩევად დრო ფაქტიურად არ არსებობს, შესაბამისად, აუცილებელია მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე შეთანხმებული წინასწარი სამოქმედო გეგმა; განვითარებადი კრიზისები (გაფიცვის წინა პერიოდი, არაკეთილსაიმედო კომუნიკაცია კომპანიაში, თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება და სხვ.) შეიძლება წარმოიქმნას უეცრად, მაგრამ დიდხანს გაგრძელდეს და პიარის ინსტრუმენტების შესარჩევად და პრობლემების გასაანალიზებლად დრო საკმარისია. შესაბამისად, პიარის ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებით შესაძლებელია კრიზისის შედეგების მნიშვნელოვნად შემცირება. მყარი კრიზისები კონფლიქტური სიტუაციებია, რომლებიც დიდხანს გრძელდება და ასეთ შემთხვევაში რთულია პიარის ინსტრუმენტების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენა. ლოკალური და მასშტაბური კრიზისებით გამოწეული უარყოფითი შედეგების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ კრიზისის დაძლევისათვის არსებითია PR - ის რელევანტური მეთოდების გამოყენება; ასევე, მნიშვნელოანად არის მიჩნეული პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების ეფექტიანად გამოყენების როლი კრიზისის შემცირებაში. განხილულია კონფრონტაციის სახეობები. გამოვლენილია პიარის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც რელევანტურია კონფრონტაციულ გარემოში კრიზისის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, ანტიკრიზისული პიარი, რელევანტურობა, კონფრონტაციის სახეობები, კონფრონტაციული გარემო

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტზე

თამარ ლაზარიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamar.lazariashvili@tsu.ge

დღეისათვის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე კონფრონტაციული ზემოქმედება გლობალურ და ქვეყნების დონეზე ზრდადია. გადაუჭრელია არაერთი კონფრონტაციული ქმედება, რომელიც გამოწვეულია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით, მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება და ინფლაცია, აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის შეზღუდვა და ფულადი გზავნილების შემცირება. კვლევაში გაანალიზებულია, რომ რუსეთი და უკრაინა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი მწარმოებლები და ექსპორტიორები არიან (განსაკუთრებით მარცვლეულის კუთხით). გამოვლენილია, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის დამოკიდებულება რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე; შესწავლილია, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი (საქართველოდან უკრაინასა და რუსეთში) და იმპორტი (საქართველოში უკრაინიდან და რუსეთიდან). ნაჩვენებია, აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო შესაძლებლობები, ჯერჯერობით დაბალია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის პოტენციალი. კვლევაში გაკეთებულია დასკვნა, რომ უკრაინასთან შემცირებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, რუსეთთან კი - გაზრდილია. რუსეთზე დამოკიდებულება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების სერიოზული და რეალური გამოწვევაა. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები, კერძოდ, ერთი მხრივ, იმპორტის ჩანაცვლების, მეორე მხრივ, ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაცია, აგროსასურსათო პროდუქტები, საერთაშორისო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი

ინფლუენსერ მარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა მყიდველობით ქცევაზე

ნათია დაღელიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
natia.daghelishvili@gruni.edu.ge

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

ციფრულ ეპოქაში ინფლუენსერ მარკეტინგი გახდა ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც არღვევს ჩვეულებრივ სარეკლამო სტრატეგიებს და ცვლის მომხმარებელთა ბრენდის ურთიერთქმედების ბუნებას. სოციალური მედიის პლატფორმების პოპულარობის მატებასთან ერთად, ინფლუენსერებმა - მათ, ვისაც დიდი ონლაინ მიმდევრები ყავთ - მიიღეს ძალა, შეცვალონ მომხმარებელთა შეხედულებები და ქცევები დამაჯერებელი გამოსვლების მეშვეობით. ეს კვლევა ცდილობს გამოიკვლიოს, თუ როგორ მოქმედებს ინფლუენსერ მარკეტინგი მომხმარებელთა შესყიდვის ჩვევებზე, ასახავს ფუძემდებლურ მექანიზმებს და მათ მარკეტინგულ შედეგებს. სტატია ასევე იკვლევს მრავალ ელემენტს, რომლებიც განსაზღვრავენ გავლენიანი მარკეტინგის ძალისხმევას. ის განიხილავს თუ როგორ მოქმედებს ავთენტურობა, სანდოობა და ნდობა ინფლუენსერებსა და ბრენდებს შორის ურთიერთობებში, ხაზს უსვამს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინფლუენსერის ღირებულებების შეხამება კომპანიის ღირებულებებთან, კლიენტებთან ნდობის გასამყარებლად. გარდა ამისა, ის აკვირდება თუ როგორ მოქმედებს აღქმული ცოდნა, პარასოციალური ქსელები და სოციალური მტკიცებულება მომხმარებელთა დამოკიდებულებასა და შესყიდვის განზრახვებზე.

საკვანძო სიტყვები: ინფლუენსერი, ინფლუენსერ მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა

მდგრადი მარკეტინგი, როგორც მყიდველის მოტივაციის ფაქტორი

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

ნინო საჩალელი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
nino.sachaleli19@gruni.edu.ge

ბოლო წლებში გაიზარდა ინტერესი მდგრადობის ცნებისადმი, სოციალური უსამართლობისა და გარემოსდაცვითი ზიანის შესახებ მზარდი შეშფოთების შედეგად. ბიზნესი უფრო მეტად აცნობიერებს მდგრადი პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობას, რათა დააკმაყოფილოს როგორც მომხმარებელთა ცვალებადი მოლოდინები, ასევე მათი ვალდებულებები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. შედეგად, მდგრადი მარკეტინგი იქცა ტაქტიკურ სტრატეგიად, რომელსაც იყენებენ ბიზნესები თავიანთი საქონლისა და მომსახურების რეკლამირებისთვის, გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების კონტექსტში.

სტატიაშ განხილულია თუ როგორ შეიძლება იყვნენ მომხმარებლები შთაგონებული მდგრადი მარკეტინგით. ავტორები იკვლევენ ფუნდამენტურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს მომხმარებლებს აირჩიონ მდგრადი წარმოების საქონელი და მომსახურება, ასევე, როგორ შეუძლიათ ფირმებს წარმატებით გამოიყენონ მდგრადი მარკეტინგი მომხმარებელთა ქცევის სტიმულირებისთვის. ანგარიში ასევე იკვლევს ბევრ მეთოდს და ტექნიკას, რომელსაც იყენებენ ბიზნესები თავიანთი მდგრადობის ინიციატივების პოპულარიზაციისთვის და მომხმარებლებისთვის ღირებულების შესათავაზებლად.

ნაშრომი შეისწავლის მდგრადი მარკეტინგის დადებით გავლენას მომხმარებელთა აღქმაზე, დამოკიდებულებებსა და შესყიდვის ზრახვებზე. ის აღიარებს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა ღიაობა, ავთენტურობა და სანდოობა, რომლებიც აუცილებელია მდგრადი მარკეტინგის პროგრამების წარმატებისთვის. სტატიაში ასევე გაანალიზებულია პრობლემები, რომლებსაც ფირმები განიცდიან მდგრადი მარკეტინგული სტრატეგიების დანერგვისას და შემოთავაზებულია წინადადებები მათ გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი მარკეტინგი, მდგრადი პროდუქტი, მომხმარებლის მოტივაცია

მწვანე მარკეტინგის როლი მდგრადი პროდუქტების გაყიდვაში

ნინო საჩალელი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
nino.sachaleli19@gruni.edu.ge

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ეხმარება მწვანე მარკეტინგი ეკოლოგიურად სუფთა საქონლის პოპულარიზაციასა და გაყიდვას. ბიზნესებმა გააცნობიერეს მწვანე მარკეტინგის ტექნიკის დანერგვის აუცილებლობა მათი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაციისთვის, გარემოსდაცვითი გამოწვევების მზარდი ცნობიერებისა და მდგრადი გადაწყვეტილებების მზარდი საჭიროების გამო. მდგრადი პროდუქტების კონტექსტში, ამ კვლევის მიზანია გამოიკვლიოს როგორ მოქმედებს მწვანე მარკეტინგული სტრატეგიები მომხმარებელთა ქცევასა და შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილებებზე. ნაშრომის შესავალში მოცემულია მწვანე მარკეტინგის მოკლე შინაარსი და მისი მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში. ის მოიცავს უამრავ ტაქტიკას, რომელსაც იყენებენ კომპანიები თავიანთი პროდუქციის გარემოსდაცვითი უპირატესობების პოპულარიზაციისთვის, როგორიცაა პროდუქციის მარკირება, რეკლამა და CSR პროგრამები. კვლევა ასევე ხაზს უსვამს ავთენტურობისა და გამჭვირვალობის მნიშვნელობას მწვანე მარკეტინგულ კამპანიებში, რადგან მომხმარებლები ხდებიან უფრო გამჭრიახი და სჭირდებათ სანდო ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ნაშრომში განხილულია თუ როგორ მოქმედებს მწვანე მარკეტინგი მომხმარებელთა დამოკიდებულებასა და ქცევაზე, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მიდგომების გამოყენებით. მომხმარებელთა პერსპექტივების, მოტივებისა და პრეფერენციების შესახებ მეტის გასაგებად მდგრადი პროდუქტებისა და მწვანე მარკეტინგული შეტყობინებების გავლენის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მწვანე მარკეტინგი, მდგრადი პროდუქტი, მომხმარებლის ქცევა

გლობალიზაცია და კრიმინოგენური მდგომარეობის თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

ნინო აბესაძე
ივანე ჯავახისვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.abesadze@tsu.ge

თამუნა მაზანიშვილი
ივანე ჯავახისვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamuna.mazanishvili363@eab.tsu.edu.ge

საზოგადოების ინტერესი კრიმინოლოგიური ვითარების რაოდენობრივი შეფასების მიმართ ყოველწლიურად იზრდება, რადგან ეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ ზოგადად ეკონომიკაზე და ქვეყნის იმიჯზე. ნაშრომის მთავარი მიზანი იყო კრიმინოგენური მდგომარეობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური მეთოდები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 5 ძირითადი, საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაული: ქურდობა, ძალადობა, ოჯახში ძალადობა, მუქარა და ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. გარდა ამისა დანაშაულის სახეები იცვლება ბრალდებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად თუ 54 წლამდე ასაკის პირებში დანაშაულებში დომინირებს ქურდობისა და ძალადობის მაჩვენებელი 55 წლიდან უკვე პირველ ადგილზე გადმოდის ისეთი დანაშაულები, როგორიცაა თაღლითობა, მუქარა, ყალბი დოკუმენტების დამზადება.

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, ტენდენცია, ანალიზი, კრიმონოგენური სიტუაცია

სექცია IV

სამეწარმეო სტიმულები უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის საქართველოსა და პორტუგალიაში

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

ვახტანგ ჭარაია
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
v.charaia@gruni.edu.ge

ნუნო მოუტინიო
ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი
nmoutinho@ipb.pt

ჟორჟე ალვეში
ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი
jorge@ipb.pt

სტუდენტების სამეწარმეო სტიმულების შესწავლა ძალიან აქტუალური საკითხია, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მეწარმეთა თაობების ჩამოყალიბება, რომლებიც შექმნიან მაღალი ღირებულების ტექნოლოგიურ სტარტაპებს და ხელს შეუწყობენ საქართველოს და პორტუგალიის ტექნოლოგიურ კერად გადაქცევას, რასაც წლებია პრიორიტეტს ვუწოდებთ. ბოლო წლებში შეიმჩნევა ახალგაზრდების მხრიდან სამეწარმეო ინიციატივების გამოვლენის ტენდენცია, თუმცა ეს მცირეა იმასთან შედარებით, რამაც შეიძლება რეალურად შეცვალოს ქვეყნის იმიჯი. ქვეყანაში გამოჩნდნენ ფონდები და ანგელოზი ინვესტორები, რომლებიც მზად არიან ინვესტიციები განახორციელონ გლობალური პოტენციალის მქონე საინტერესო ბიზნეს პროექტებში. ამ პროცესში უნივერსიტეტების როლი ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. საქართველოს და პორტუგალიის განათლების სისტემის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სამეწარმეო უნარების ჩართვა ფორმალურ და პროფესიულ განათლებაში. წინამდებარე კვლევაში სტუდენტების სამეწარმეო სტიმულებზე გავლენის ფაქტორების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა ქართული და პორტუგალიური უნივერსიტეტების სტუდენტების ინტერესები და შესაძლებლობები ბიზნესის დაწყების მიმართულებით და სტუდენტების წახალისების საუკეთესო უცხოური პრაქტიკა. ნაშრომში ჩატარდა კვლევა, სადაც გამოკითხული სტუდენტების პასუხებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ძირითადი ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სტუდენტების სამეწარმეო სტიმულირებაზე. კვლევის ჰიპოთეზაა, რომ საქართველოს და პორტუგალიის უნივერსიტეტების სტუდენტების სამეწარმეო სტიმული დაბალია. კვლევის მეთოდად

შერჩეულია რაოდენობრივი კვლევა, რისთვისაც შემუშავებულია კითხვარი. კითხვარში კითხვები აგებულია იმ მნიშვნელოვანი ცვლადების გარშემო, რომლებიც გამოვლინდა ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად. კითხვარი ეფუძნება ლიკერტის სკალას, სადაც სტუდენტებმა უნდა შეაფასონ კითხვარში მოცემული განცხადებები 1-დან 5-მდე. პასუხების დასამუშავებლად და დამოუკიდებელი ცვლადების დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის შესასწავლად გამოყენებული იქნა მრავალჯერადი რეგრესია. კვლევის მოდელში სტუდენტების სამეწარმეო სტიმული განისაზღვრა, როგორც დამოკიდებული ცვლადი, ხოლო პიროვნული დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმა, აღქმული ქცევის კონტროლი, სამეწარმეო განზრახვა, აღქმული საგანმანათლებლო მხარდაჭერა, აღქმული სტრუქტურული მხარდაჭერა, პროაქტიული პიროვნების ტიპი და ურთიერთობების მხარდაჭერა განისაზღვრა, როგორც დამოუკიდებელი ცვლადები. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია სტუდენტების მხარდამჭერი გარემო; სამეწარმეო საქმიანობა საქართველოსა და პორტუგალიაში, დაფინანსების მოძიების შესაძლებლობები და ძირითადი დაბრკოლებები, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან ბიზნესის დაწყებისას. ნაშრომში მოყვანილია აგრეთვე უცხო ქვეყნების მაგალითები, სადაც ჩანს ერთის მხრივ სახელმწიფოს და მეორე მხრივ ბიზნესის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი და წარმატებული ნაბიჯები სტუდენტების წახალისების გაზრდის მიზნით. ნაშრომში განხილული ლიტერატურისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე ხდება დასკვნების ფორმულირება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეწარმეო სტიმულის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა, სტუდენტი, სამეწარმეო სტიმულები, სამეწარმეო განათლება

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები და ტურიზმის განვითარება

თამარ გამსახურდია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
t.gamsakhurdia.t@gruni.edu.ge

საქართველოში ტურიზმის დაფინანსება მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას, შექმნას სამუშაო ადგილები და გაზარდოს საერთაშორისო ინტეგრაციის შესაძლებლობანი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ტექნოლოგიების გავლენა ტურიზმის მდგრად განვითარებაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო. ახალი IT სერვისები და ტექნოლოგიები, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლა და ავტომატიზაცია, საშუალებას აძლევს კომპანიებს შეამცირონ ხარჯები, გააუმჯობესონ საოპერაციო ეფექტურობა და გააუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურების ხარისიხი და პირობები. დღეისათვის, გადახდის სისტემაში თანამედროვე ფინანსური ინოვაციები და ტენდეციები, როგორიცაა ღია ბანკინგი, საბანკო მომსახურება, როგორც სერვისი (BaaS), ქრაუდფანდინგი, მწვანე ფინანსები და სხვა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს, რაც საშუალებას აძლევს ტურისტულ კომპანიებს მიიღონ შემოსავლის ახალ ნაკადები და გააუმჯობესონ კლიენტების ლოიალობა. ტურიზმის დაფინანსებისათვის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა, მათი ეფექტურობის შეფასება, ახალი ინსტრუმენტების დანერგვის შესაძლებლობების განხილვა და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ფულადი ნაკადების ზრდაზე ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის. კვლევის პროცესში გამოიყენება ზოგადი სამეცნიერო მეთოდები (სისტემური, სტრუქტურული, ფუნქციონალური) და კერძო მეთოდი (გრაფიკული). ასევე გამოყენებულია ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემები და შეფასებები. კვლევამ დაგვარწმუნა, რომ სამთავრობო ორგანოების და ფინანსური ინსტიტუტების ძალისხმევით ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ტურიზმის განვითარების დაფინანსებლად უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის საფუძველზე კაპიტალთან წვდომას და მდგრადობის განმტკიცებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები, crowdfunding, მწვანე ფინანსები, ღია ბანკინგი, ტურიზმი

საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე პოსტპანდემიურ პერიოდში

ნიკო კვარაცხელია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
niko.kvaratskhelia@gruni.edu.ge

კვლევის საგანი და რელევანტურობა: კვლევა ეხება ტურიზმის განვითარებას საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში, კერძოდ, ქვეყნის აქტივობებს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე პოზიციონერების თვალსაზრისით. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოს ტურიზმს დიდი პოტენციალი გააჩნია. თუმცა, ამასთანავე ცხადია ისიც, რომ მისი ათვისება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. სახელმწიფო და კერძო ტურისტული ბიზნესი თანხმდებიან საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირების გააქტიურების აუცილებლობაში. მიღწეული შედეგების ანალიზი აჩვენებს აქტივობებში დახარჯული თანხების გონივრულობას, რაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდასთანაა დაკავშირებული. სტატიაში განხილულია ძირითადი საერთაშორისო აქტივობები და მთავრობის ხედვები და გადაწყვეტილებები ტურიზმის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით. **ლიტერატურის მიმოხილვა:** თემის შესახებ არსებული ლიტერატურა დაჯგუფებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1.მთავრობის გადაწყვეტილებები და დადგენილებები ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით: ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2022-2025 წლებისათვის (https://www.mof.ge/5439); ინტერნეტ-მასალებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციები: 2.ტურიზმის სტატისტიკური და ანალიტიკური მასალა: საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა - (www.gnta.ge); 3.არასამთავრობო და სხვა პროფესიული ორგანიზაციების კვლევები: - https://forgeo.ge/upload/documents/10/7646241c6b9480cc040fd8e2789948ff.pdf; "პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები" და სხვ. 4.მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები: https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/; https://www.unwto.org/news/world-committee-on-tourism-ethics-issues-statement-on-war-in-ukraine

ანალიზი და დასკვნა:

ტურიზმის განვითარების მიზნით საქართველოში დაგეგმილი ღონისძიებები მოხსენებაში დაყოფილია ორ ნაწილად:

1. მთავრობისა და კერძო სექტორის ღონისძიებები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად:
   - საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი მილიარდი ლარით დაფინანსდება. მისი განხორციელების პირველ ეტაპზე შერჩეულია 11 მდებარეობა: ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია და ყაზბეგი;

- ტურიზმის აღდგენისა და კრიზისების მართვის მიმართულებით, დაგეგმილია კერძო და საჯარო სექტორის ჩართულობით სტრატეგიული გეგმის მომზადება. დოკუმენტის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს დახმარება ტურიზმის სტრატეგია 2025-ის ადაპტირებაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, რომელიც მოიცავს პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდებს, რათა მოხდეს ტურიზმის ეფექტიანი და დროული აღდგენა;
- ტურიზმის განვითარება მოითხოვს ტრანსპორტის სათანადო განვითარებასაც. ამ მიზნით იგეგმება თბილისში ახალი აეროპორტის მშენებლობა;
- ტურიზმის ინდუსტიის მდგრადი განვითარებისა და მომსახურების დონის გაზრდისათვის, ევროპარლამენტის დირექტივასთან მიახლოების მიზნით გათვალისწინებულია ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რომელიც განხორციელდება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

2. ღონისძიებები საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს პოზიციონირებისათვის:

- საქართველოს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე პოზიციონირების მიზნით 2023 წელს, ჩვენი ქვეყანა მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარსდგა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან ტურისტულ გამოფენაზე – ITB Berlin 2023. ეს იყო უპრეცენდეტო მოვლენა ქართული ტურიზმის ისტორიაში;
- ევროპის, ამერიკის და ახლო აღმოსავლეთის ტურისტულ ბაზრებზე პოზიციონირების უპირატესობა. ტურისტული ბაზრობები სეზონურია და ამიტომ ის ემთხვევა სეზონთაშორის პერიოდებს: გაზაფხული და შემოდგომის ბაზრობების რიცხვი 500-ს აჭარბებს. საქართველო მონაწილეობას საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებზე, დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული ნაკადების გაზრდისათვის.

ამრიგად, ტურიზმის ბიზნესი კვლავ რჩება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად. მისი განვითარება ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესებას, აგრეთვე მნიშვნელოვანი საშუალებაა ქვეყნის კულტურის, ისტორიის და მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ტურიზმის ბაზარი, ტურიზმის ბიზნესი საქართველოში

მცირე (საოჯახო) მარნების როლი ღვინის ტურიზმში და მათი განვითარების მარკეტინგული სტრატეგია

მაკა ფირანაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
m.piranashvili@gruni.edu.ge

ლამარა ქადაგიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Lamara_kad@yahoo.com

ერეკლე უგრელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
erekle.ugrelidze@gruni.edu.ge

მევენახეობა-მეღვინეობა უმნიშვნელოვანესი სფეროა ჩვენი ყოფიერ-ცნობიერი არსობის. ქართული ღვინო საუკუნეებს ითვლის თავისი პროდუქტიულობით, კულტურითა და ისტორიით, რაც მინიმუმ პირდაპირპროპორციული უნდა იყოს მისი საშუალებით მოპოვებული ავტორიტეტისა და ეკონომიკური სარგებლიანობის, ასევე მსოფლიო ღვინის ბაზარზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრების. წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს საქართველოს ღვინის ტურიზმში მცირე მარნების როლსა და მნიშვნელობას; წარმოაჩენს პრობლემებს, რომლებიც აფერხებს მის წარმატებულ განვითარებას. გვაცნობს გატარებულ და ასევე გასატარებელ მარკეტინგულ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია დარგის წინაშე არსებული გამოწვევების (კოვიდ-19 ვირუსი, შემცირებული ექსპორტი, შიდა ბაზარზე ტურისტული სეზონის ჩავარდნა) დასაძლევად; გვთავაზობს სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შესარჩევად გასააზრებელ საკითხებს და კონკრეტულ რეკომენდაციებს. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია ქართული ტრადიციული მეღვინეობის, ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული წესის აღდგენისა და მისი დიდი საერთაშორისო აღიარების ფონზე. დღეს საქართველოში ღვინის აღორძინების ხანა დგას, ჩნდება ახალი მარნები, იცვლება ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება ზოგადად ღვინისადმი, სულ უფრო მეტი უცხოელი სპეციალისტი, ბიზნესმენი თუ მომხმარებელი ინტერესდება ქართული ღვინით და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ქართული ღვინო პოულობს თავის ადგილს მსოფლიო ღვინის ბაზარზე. ტურისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და მიკროზონები. ასეთი, დღეისათვის, საქართველოში დარეგისტრირებულია 25. აღსანიშნავია ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი, რომელსაც 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიამ მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა, მეტად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს 52 ქვეყანაში 19 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო მაინც არის ექსპორტირებული, რაც 2020 წლის

ანალოგიურ მაჩვენებელზე 2%-ით მეტია. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 205-მა კომპანიამ განახორციელა“ (ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში, 2021 წ. I კვარტალი https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14181). ღვინის ტურიზმს ექსპერტები და მსოფლიო დონის მკვლევარები განმარტავენ და აღიარებენ, რომ „ღვინის ტურიზმი განისაზღვრა, როგორც ვენახების, ღვინის დიდი კომპანიების, მცირე მარნების, ღვინის ფესტივალებისა და ღვინის შოუების მონახულების ადგილი, სადაც ყურძნისა და ღვინის დაგემოვნება, მარნების დიზაინი და ატმოსფერო ტურისტებისთვის არის მოტივაციის მიმნიჭებელი“ (Hall et al., 2000) (CAB International 2006. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing (eds J. Carlsen and S. Charters) definitions page 1). რაც ყველაზე მთავარია, მცდელობები მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირებისთვის, ცალსახად ესმით ღვინის მწარმოებელ მცირე კომპანიებს, ინდივიდუალურად ცდილობენ წარმატების მიღწევას, რაც კონკურენტული თვალსაზრისით მიზანშეწონილია, თუმცა ვითარების გათვალისწინებით საერთო მიზნები და სტრატეგიული გეგმა, შესაძლოა ბევრად მომგებიანი იყოს ფართომასშტაბიანი ტრიუმფის მოპოვებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ღვინის ტურიზმი, ქვევრის ღვინო, მარკეტინგული სტრატეგია

ეკონომიკური გარემოს გავლენა საქართველოში ჯანმრთელობის ტურიზმის განვითარებაზე

გიგი ყუფარაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
gigi.kuparadze@gruni.edu.ge

ჯანმრთელობის ტურიზმი (Health Tourism), მისი შემადგენელი ნაწილები სამედიცინო ტურიზმი (Medical Tourism) და ველნეს ტურიზმი (Wellness Tourism) მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელსაც ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯანმრთელობის ტურიზმის განვითარების მხრივ, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა, მიუხედავად მისი დიდი პოტენციალისა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გავლენა ამ სახის ტურიზმზე, პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ, ტექნოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ერთად, რა თქმა უნდა, აქვს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ გარემოს. წინამდებარე სტატიაში განხილულია ისეთი ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ჯანმრთელობის ტურიზმზე, როგორიცაა ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯები, ინვესტიციები და ე.წ. „ტვინების გადინება“ უცხოეთში. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები ბოლო წლებში განუხრელად იზრდება, მისი მოცულობა, როგორც უკვე აღინიშნა, მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ მინიმუმსა და განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. ეს, თავის მხრივ, არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებების არასაკმარისი მოცულობის და გაზრდილი ლოდინის დროის მიზეზი. ამ პირობებში კი, ბუნებრივია მატულობს სამკურნალოდ გამგზავრების მოტივაცია და ალტერნატიულ მედიცინაზე მოთხოვნა. ჯანმრთელობის ტურიზმისათვის ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც იდება ჯანმრთელობის დაცვის სექტორში და იმ ცბობილ, გამოცდილ მედიკოსთა უკან, საქართველოში დაბრუნება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მოღვაწეობენ საზღვარგარეთ.

საძიებო სიტყვები: ჯანმრთელობის ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი; სამედიცინო ტურიზმი; ველნეს ტურიზმი

ლიდერის როლი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებაში (ციფრული ტრანსფორმაცია) ქართული და ფრანგული ორგანიზაციების შედარების მაგალითზე

ნინო ცხოვრებაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ntskhovrebashvili@yahoo.com

თენგიზ თაქთაქიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tengiz.taktakishvili@gruni.edu.ge

21-ე საუკუნეს შეიძლება ეწოდოს დიდი ტექნოლოგიების ეპოქა. რაღაც ეტაპზე შესაძლოა, ქვეყნებმა იფიქრონ მის შეჩერებაზე ან რეგულაციების შემოღებაზე. ტექნოლოგიების განვითარებას თავისი დადებითი მხარე და დიდი როლი აქვს. იგი გადამწყვეტი მნიშნელობისაა სხვადასხვა სამეცნიერო და სამრეწველო დარგის პროგრესში. ნაშრომში განხილულია ლიდერობის სხვადასხვა სტილი, მათი აქტუალობა ციფრულ ეპოქაში და ლიდერის როლი ცვლილებების განხორციელების პროცესში. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ლიდერს შესაძლოა ჰქონდეს როგორც დესტრუქციული, ისე კონსტრუქციული როლი ცვლილებების განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა კვლევა, რამდენად გამართლებულია ეს ქართულ რეალობაში. ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, შედარებითი ანალიზით გავლებულია პარალელები ფრანგულ კომპანიებთან, გამოვლენილია ამ ორი ქვეყნის მიღწევები და ნაკლოვანებები პრაქტიკაში და ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიდერის კონსტრუქციული როლი ცვლილებების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ცვლილება, ციფრული ტრანსფორმაცია, ლიდერი, ლიდერობის სტილი

ქართველი მოგზაურების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას

მაია მელაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
m.meladze@gruni.edu.ge

ანა გვარამაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
a.gvaramadze@gruni.edu.ge

ლიზი ძიმისტარიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
lizi.dzimistarishvili21@gruni.edu.ge

ნაშრომი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტის „საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევა“ განუყოფელი ნაწილია. ციფრულმა ტექნოლოგიებმა დიდი ცვლილებები გამოიწვია ბიზნესის არაერთ სფეროში. დღევანდელ დღეს ტურისტული ბიზნესები უმეტესად ეყრდნობიან ციფრულ პროცესებს, რათა იყვნენ ეფექტური და კონკურენტუნარიანი. COVID-19 პანდემიამ დააჩქარა ციფრული ბიზნეს პრაქტიკის საჭიროება, რადგან მოგზაურები ითხოვენ ციფრულ კომუნიკაციებს, ონლაინ გაყიდვებს და უკონტაქტო გადაწყვეტილებებს. კოვიდ პანდემიიდან მიღებული გამოცდილება დაეხმარა ტურისტულ ბიზნესს მეტი დიგიტალიზაცია/მოქნილობა შეეძინათ ტურისტული პროდუქტისთვის. ნაშრომის მიზანი იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით გამოეკვეთა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესის მართვისა და ზრდისთვის. შესაბამისად, გამოეაშკარავებინა მომხმარებელთა მოთხოვნა ციფრულ სერვისებზე ტურისტულ სექტორში კოვიდ პანდემიის შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები - ციფრული ტექნოლოგიები, ტურისტული პროდუქტი, COVID-19 პანდემია

მდგრადობა, როგორც კონკურენტული უპირატესობა სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის

ნინო საჩალელი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
nino.sachaleli19@gruni.edu.ge

მდგრადობა დღითიდღე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მაგრამ როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მდგრადობის როლი განსაკუთრებით გაიზარდა სოფლის ტურიზმში, სადაც კარგი შესაძლებლობებია ჭკვიანი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისთვის. სტატიის მთავარი მიზანია გავაანალიზოთ რა გამოწვევები აქვს სოფლის ტურიზმს, რა ტენდენციებია ახლა და რა როლი აქვს მდგრადობას, რაც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს და აძლევს რეგიონებს კონკურენტულ უპირატესობას. სტატია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შეისწავლის მდგრადობის მნიშვნელობას სოფლის ტურიზმის კონტექსტში. სტატიის მთავარი იდეაა შევისწავლოთ რას ნიშნავს მდგრადი სოფლის ტურიზმი და რატომ არის ის მნიშვნელოვანი, ასევე შევისწავლოთ მდგრადი სოფლის ტურიზმის კონცეფცია და მდგრადი სოფლის ტურიზმის გამოცდილება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი სოფლის ტურიზმი თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა და მას შეუძლია დადებითად იმოქმედოს რეგიონულ განვითარებაზეც.

საკვანძო სიტყვები: მდგრადობა, სოფლის ტურიზმი, კონკურენტული უპირატესობა